



ახალი წელი



უნივერსიტეტი

28
აპრილი,
სუთშაბათი
2016 წ., №6

წომარები

■ **გადარჩება უნივერსიტეტი? — გადარჩება საქართველო!**



83.3

■ **მეცნიერების „ამუშავება“ უნივერსიტეტში გამორიცხავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თსუ-ში სტაგნაციაა**

83.4-12

■ **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაფინანსებული კვლევები**

83.13

■ **გილდა სინარულიძე: განხეთქილება უნივერსიტეტში გამოიწვია იმან, რომ ვერ შევქაღით ერთმანეთის მოსაება**

83.14

■ **ქართულ-კოლონური ურთიერთობები და მარიამ ფილინას აღმოჩენილი კოლონეთი**



83.15

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩია

20 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დარეჯან თვალთვაძე აირჩიეს.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვასილ გონაშვილის ინფორმაციით, „უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები გაიმართა საარჩევნო სამართლის პრინციპების სრული დაცვით. მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლინება. ასევე მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი ნების ფარულობა და საარჩევნო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. არ შემოსულა არც ერთი საჩივარი. 1311 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 967 ამომრჩეველმა. კენჭისყრაში მონაწილეთა 54,3%-მა (526 ხმა) მხარი დაუჭირა დარეჯან თვალთვაძეს, ლევან გორდეზიანმა მიიღო ხმათა 24,4% (236 ხმა), ცირა ბარამიძემ 11% (107 ხმა), გიორგი ანდრიაძემ 4%(39 ხმა). 59 ბიულეტენი საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო“. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენელმა არჩილ კაიკაცივილიმა, როგორც დამკვირვებელმა,

მე-3 გვერდზე



ლადო პაპავას თსუ-ში რექტორად მოღვაწეობის ანგარიში



2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნებში

ლადო პაპავას გამარჯვებიდან თითქმის 3 წელი გავიდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, ლადო პაპავამ ყოველგვარი პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე მოახერხა რექტორის პოსტის დაკავება. მისი კანდიდატურის მხარდაჭერას, პირველ რიგში, საზოგადოება რეკომენდირებდა და მაშინ აკადემიურმა საბჭომ სწორედ ხალხის ხმას უგდო ყური. რატომ გააკეთა 2016 წლის 30 მარტს ლადო პაპავამ გადადგომის შესახებ განცხადება? — ამის თაობაზე, როგორც ჩანს, რეალურ მიზეზს ვერ ვერ ვაგვიგებთ, რადგან ან უკვე ყოფილი რექტორი არ აპირებს საკუთარი მოსაზრებების გასაჯაროებას. ფაქტია, რომ მისი გადაწყვეტილება 2016 წლის მარტისთვის მოვლენებმა განაპირობა.

19 აპრილს, რექტორის პოსტის დატოვებამდე ერთი დღით ადრე, ლადო პაპავა საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე რექტორად მოღვაწეობის ანგარიშით წარსდგა.

მე-7-10 გვერდზე



№65/01-01

20.04.2016

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშნვის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნის წესის შესახებ“ სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით, 2016 წლის 16 მაისიდან აკადემიური საბჭოს წევრთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები უფლებამოსილება-შეწყვეტილი წევრების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით 2016 წლის 11 მაისს:

- ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი — 2 წევრი;
- ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი -2 წევრი;
- გ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი — 2 წევრი;
- დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი -2 წევრი;
- ე) იურიდიული ფაკულტეტი -2 წევრი
- ვ) მედიცინის ფაკულტეტი — 2 წევრი;
- ზ) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი -2 წევრი;

2. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ბოშიშვილი ალექსანდრე — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ბ) გავაშელი ცისანა — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- გ) დათიაშვილი ნათია — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მთავარი სპეციალისტი;
- დ) დვლიძე ირაკლი — იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ე) კაკულია ნაზირა — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ვ) მახარობლიშვილი გიორგი — იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ზ) მყანნიშვილი ეკატერინე — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- თ) ტრაპაიძე ვაჟა — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ი) ქიტიაშვილი ზაქარია — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;
- კ) ქრისტესაშვილი ჯენარო — მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ლ) წერეთელი ნინო — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- მ) ჭალაგანიძე ნინო — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ნ) ხარაძე ეფემია — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ო) ხაჭიპერაძე ზაზა — მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვი-

თარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. საარჩევნო კომისიის დაევალოს სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 მაისის არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება.

4. საარჩევნო კომისიის წევრებს შესრულებული სამუშაოსათვის მიეცეთ ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

5. არჩევნების საორგანიზაციო (ტექნიკური) ხარჯების ანაზღაურება (საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო 2016 წლის 22 აპრილს 10:00 საათზე და დასრულდეს 2016 წლის 28 აპრილს 18:00 საათზე.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია ინარჩუნებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ოთახი №114.

8. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

9. ინფორმაციის უნივერსიტეტის გაზეთ – „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარ რედაქტორს ნინო კაკულიას.

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

11. ბრძანების შესრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

12. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით – გამოქვეყნებისთანავე.

13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ერმი ქემოკლიძეს.

14. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

რექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპაშვილი

№66/01-01

20.04.2016

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშნვის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 20 მარტის №65/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნის წესის შესახებ“ სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „შევიდეს ცვლილება სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშნვის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 20 მარტის №65/01-01 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ბოშიშვილი ალექსანდრე — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ბ) გავაშელი ცისანა - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- გ) დვლიძე ირაკლი — იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- დ) კაკულია ნაზირა — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ე) მახარობლიშვილი გიორგი — იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ვ) მყანნიშვილი ეკატერინე — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
- ზ) ქრისტესაშვილი ჯენარო — მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- თ) ჭალაგანიძე ნინო - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;

ი) ხარაძე ეფემია — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი“.

3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. ინფორმაციის უნივერსიტეტის გაზეთ — „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარ რედაქტორს ნინო კაკულიას.

5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

6. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით — გამოქვეყნებისთანავე.

8. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალიშვილი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩია

პირველი გვერდიდან

მაღალი შეფასება მისცა უნივერსიტეტში გამართულ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებს. მისი თქმით, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი იყო არჩევნების დემოკრატიულად, გამჭვირვალედ ჩატარების შესაძლებლობა.

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ თსუ-ის ყოფილმა რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა დარეჯან თვალთვაძეს და აღნიშნა, რომ არჩევნები გაიმართა მშვიდ გარემოში, ყველა პროცედურის

მისი თქმით, მას უკვე შეუძლია, დამუშედა ბულმა დატოვოს თავისი პოსტი, რადგან უნივერსიტეტმა მხარი სწორედ ლადო პაპავას სტრატეგიას დაუჭირა ქალბატონი დარეჯან თვალთვაძის არჩევით. დარეჯან თვალთვაძე რამდენიმე თვის წინ სწორედ ლადო პაპავამ დანიშნა რექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. ამდენად, ყოფილი რექტორი მის გამარჯვებად მიიჩნევს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დარეჯან თვალთვაძის გამარჯვებას არჩევნებში.

„მჯერა, რომ უნივერსიტეტის პროფესორა, ჩვენს სტუდენტებთან ერთად, ყვე-



„მჯერა, რომ უნივერსიტეტის პროფესორა, ჩვენს სტუდენტებთან ერთად, ყველანი ერთად ვიზრდებით და ვიზრდებით, რათა უკეთესი უნივერსიტეტი გვქონდეს. ამისთვის საჭიროა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს ლეგიტიმური მმართველობა — ეს არის მისი აკადემიური საბჭო, რომელიც არის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, ეს არის კანცლერი, რომლის არჩევნები ძალიან მალე გაიმართება. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რისთვისაც უნივერსიტეტმა მოვალეობის შემსრულებელი აირჩია — მოვამზადოთ და ღირსეულად ჩავატაროთ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები. ჩემს მთავარ ამოცანას სწორედ ამამ ვხედავ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.

დაცვით, რაც დაფიქსირეს დამკვირვებლებმა. „დღევანდელი დღე არის ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში განსაკუთრებული. განსაკუთრებული, რადგანაც დღეს არ იყო უზრალოდ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა. დღეს პირველად ჩვენს უნივერსიტეტში, და სრულიად საქართველოში, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის უფლება მიეცა 1300-ზე მეტ ამომრჩეველს. ეს ძალიან მასშტაბური არჩევნებია და უნივერსიტეტმა აჩვენა, რომ მას შესწევს უნარი — ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი ვითარებას გაუმკლავდეს ისე, როგორც შეშენის ივანე ჯავახიშვილის და მისი დიდი თანამოაზრეების მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტს“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

ლანი ერთად ვიზრდებით და ვიზრდებით, რათა უკეთესი უნივერსიტეტი გვქონდეს. ამისთვის საჭიროა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს ლეგიტიმური მმართველობა — ეს არის მისი აკადემიური საბჭო, რომელიც არის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, ეს არის კანცლერი, რომლის არჩევნები ძალიან მალე გაიმართება. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რისთვისაც უნივერსიტეტმა მოვალეობის შემსრულებელი აირჩია — მოვამზადოთ და ღირსეულად ჩავატაროთ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები. ჩემს მთავარ ამოცანას სწორედ ამამ ვხედავ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.



დეგების გამოცხადების შემდეგ სტუდენტებს გაესაუბრა. როგორც მან სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს განუცხადა, მისი მთავარი ამოცანა უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა და ამ ეტაპისთვის უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური მართვის ორგანოების არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფაა, რაშიც მას სტუდენტების და პროფესორის მხარდაჭერა ესაჭიროება. უახლოეს დღეებში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრას გამართავს. დარეჯან თვალთვაძე რექტორის მოვალეობის შესრულებას 21 აპრილიდან შეუდგა.

შეგახსენებთ, რომ 30 მარტს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადება გადადგომის შესახებ. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები 20 აპრილს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებმა, რომელთაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებს 16 ინდივიდუალური პირი და 4 არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდებოდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მოსაზრება

გადარჩება უნივერსიტეტი? — გადარჩება საქართველო!

მეკითხებიან, როგორ შევასაზრებ უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებას. არაა იოლი: ჩვენს უნივერსიტეტს თავისი საუკუნოვანი არსებობის მანძილზე ჰქონია რთული პერიოდები. ახალდარსებულ უმაღლეს სასწავლებელს ბოლშევიკებმა შეუტყის და დაარბიეს. დიდი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გააგდეს; მისი მხარდამჭერები მძიმე დღეები ჩააგდეს; 1930 წელს დახურეს კიდევ უნივერსიტეტი... მაგრამ რამდენიმე წელში აღდგა მკვდრითი და ნელ-ნელა აღიდგინა დაკარგული დიდება... დედა უნივერსიტეტი დედა უნივერსიტეტობდა...



აკადემიური საბჭო 2006 წელს აირჩიეს „ერთგულებისა და მორჩილების“ პრინციპით; არა უნივერსიტეტის ერთგულების, არამედ ხელისუფლებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთგულებისა და მორჩილების პრინციპით. გზა და გზა ხდებოდა ცვლილებები საბჭოს შემადგენლობაში, მაგრამ არ იცვლებოდა შერჩევის მთავარი პრინციპი... მოდით, გაიხსენოთ: პირველ საბჭოში

იყო რამდენიმე დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან, მინისტრის მოადგილეები, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები... ამ ნიშნით შერჩევა შემდგომშიც გაგრძელდა... და, ცხადია, გადაწყვეტილებებიც იყო ისეთი, როგორსაც ზემოდან უკარნახებდნენ ან/და თსუ-ის ადმინისტრაცია მოითხოვდა; საბჭო „საარაკოდ ერთსულოვანი“ იყო. გაიხსენოთ: 2005-2006 წლებში უნივერსიტეტში გაქრა ფაკულტეტები, გაუქმდა კათედრები, დაიხურა კაბინეტ-ლაბორატორიები, მოკვდა სამეცნიერო სექტორი, ქუჩაში აღმოჩნდა ათასობით დამსახურებული მეცნიერი, პედაგოგი და ყოველივე ამის შემოქმედი გ. ხუბუა 2007 წელს აკადსაბჭომ ზარზემით აირჩია რექტორად. ამ არჩევნების დროს საბჭოს წევრთა ალტაცებული გამოსვლები გაზეთში დაიბეჭდა... სამარცხვინო იყო ყოველივე ეს... მერე? — იმავე საბჭომ 2010 წელს ერთხმად(!) გადაირჩია წიგნების ქურდობასა და სხვა მრავალ დანაშაულში ბრალდებული გ. ხუბუა; ცხადია, საბჭოს პასუხისმგებლობა არ აუღია თავის თავზე; უბრძანეს და გაუშვეს გ. ხუბუა... ერთხმად აირჩიეს მოვალეობის შემსრულებლად ნ. სურგულაძე... უბრძანეს და ორიოდე კვირაში ერთხმად გადაირჩიეს ნ.სურგულაძე და მოვალეობის შემსრულებლად ერთხმად აირჩიეს საუნივერსიტეტო სფეროსათვის სრულიად უცხო და შეუფერებელი ს. კვიციანი, მერე რექტორად... უბრძანეს და 2013 წელს კვლავ მოვალეობის შემსრულებლად დაამტკიცეს ს. კვიციანი... ამ საბჭოს „მოღვაწეობაში“ ერთადერთი ნორმალური შემთხვევა იყო ვლ.პაპავას არჩევა; მაგრამ აქ სიტუაცია

შეიქმნა საბჭოსათვის არასასურველი: საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდა და ველარ გაექცნენ ამას... მერე? მერე ისევ „დალაგდა“ ვითარება და საბჭომ თავისი „ტრადიციული თვისებები“ გაიხსენა 2016 წელს კანცლერის არჩევნების დროს. რომ არა ამ არჩევნებში საბჭოს ასეთი არაპრინციპულობა და უპასუხისმგებლობა, დედა უნივერსიტეტში დღეს სხვა ვითარება იქნებოდა... მაღლობა უნდა ვუთხრათ იმ ძალას, რომელმაც აიძულა ეს აკადემიური საბჭო, შეეწყვიტა თავისი საქმიანობა... კარს მოგვადგა ახალი აკადემიური საბჭოს არჩევნები... უნივერსიტეტის გადარჩენის ერთ-ერთი გზა სწორედ აკადემიურ საბჭოზე გადის. გვეყოლება პრინციპული, მართალი, პატიოსანი, უნივერსიტეტისა და ქართული საქმის ერთგული საბჭო — გვექნება უკეთესი უნივერსიტეტი... ისევ ისეთ საბჭოს ავირჩევთ? ჩვენი სამეცნიერო არ იქნება. ამიტომ ამ არჩევნების დროს მანაც დავივინოთ პარტიული და პირადი ინტერესები; ვიფიქროთ უნივერსიტეტზე, მის ინტერესებზე... გაიხსენოთ დიდი აკაკი წერეთლის შეგონება, ერთ-ერთი არჩევნების დროს რომ თქვა: „კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეა; მეკენჭეს არ უნდა უღალატოს არც ერთმა და არც მეორემ, თორემ საერთო საქმე წააგებო...“ მივინდოთ „მეკენჭეთა“ ჭკუასა და სინდისს... ათიოდე წლის წინათ ჩვენი ლოზუნგი იყო: „გადარჩება უნივერსიტეტი? — გადარჩება საქართველო!“ და მერნმუხეთ, ეს ასეა! ვიფიქროთ საქართველოზე!...

გიორგი გოგოლაშვილი

მეცნიერების „ამუშავება“ უნივერსიტეტში გამორიცხავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თსუ-ში სტაბილიზაციაა

როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ უნივერსიტეტში თუ არაფერი გაფუჭებულია, არც არაფერი გაკეთებულია რექტორად ლადო პაპავას მოსვლის შემდეგ და რომ უნივერსიტეტში სტაბილიზაციაა, გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველს შევახსენოთ შემდეგი: მაშინ, როცა უნივერსიტეტს საბიუჯეტო დაფინანსება ჯერ კიდევ არ აქვს, რექტორის ინიციატივით, უნივერსიტეტმა ფაკულტეტებისთვის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად თანხები გამოყო და ამ პროექტებში როგორც პროფესორები, ისე ყველა საფეხურის სტუდენტი იღებს მონაწილეობას. მეცნიერების ამუშავების ტენდენციები კი, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ამ წლების განმავლობაში უნივერსიტეტში არაფერი გაკეთებულა. ჩვენი გაზეთი იმ პროექტების პრეზენტაციების გაშუქების ციკლს აგრძელებს, რომლებიც სწორედ საუნივერსიტეტო დაფინანსების კვალზე შეიქმნა.

ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების პრეზენტაცია

18 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტმა მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო 6 დასრულებული პროექტი, რომლებიც სამეცნიერო კვლევებისთვის საინტერესო ასპექტებს მოიცავდა.

გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტმა“ მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების შეჯამება სხოვა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ შარაძეს:

— ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში შედის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც სამეცნიერო კვლევების გაძლიერება. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივა, კერძოდ, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება. ეს დაფინანსება ხდება არა მექანიკურად, არამედ კონკურსის საფუძველზე. შარაძე 2015 წელს ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტზე გამარჯვებულად გამოცხადდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტი (3 — ეკონომიკის და 3 — ბიზნისის ადმინისტრირების მიმართულებით). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამარჯვებული პროექტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასთან. პროექტების შედეგები გამოქვეყნდება, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ყურნალებში. და კიდევ ერთი, ახლა და მომავალში ასეთი პროექტების რეალიზება უნივერსიტეტში ხელს შეუწყობს იმ სამეცნიერო მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებას, რომელიც შემოღებულია საუნივერსიტეტო რეგულაციაში და მომავალ წელს ამოქმედდება.

ფარმაცეუტიკული მედიცინის დიპარტამენტის უსაპლაზმოლოგი — ევროკავშირის მოდელი და გამომწვევები საქართველოში

გვესაუბრება სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი ეთერ სარაიშვილი (მიკროეკონომიკის კათედრა)

— ქალბატონო ეთერ, როგორ მოახდინეთ თქვენი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება?

— პროექტის სამუშაო ჯგუფი, ძირითადად, დაკომპლექტდა მიკროეკონომიკის კათედრის აკადემიური პერსონალით (ასოცირებული პროფესორები: მარინა ჩავლიშვილი, ია ნაცვლიშვილი, ინეზა გაგნიძე, ასისტენტი პროფე-

სორი თამარ ლაზარიაშვილი). თუმცა, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევაში ჩავრთეთ თეორიული ეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძეც. პროექტში მკვლევრებად მოვიწვიეთ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები, ბაკალავრები: ანა ლომოური, სალომე ექიზაშვილი და რუსუდან გურაშვილი.

— რა ძირითად მიზნებსა და ამოცანებს ისახავდა თქვენი პროექტი და, საერთოდ, რამ განაპირობა კვლევის აქტუალობა?

— სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროექტი ითვალისწინებდა ფერმერული მეურნეობების განვითარების, დივერსიფიკაციის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შეფასების საფუძველზე ძირითადი გამოწვევების გამოვლენას საქართველოში. საგულისხმოა, რომ ფერმერული მეურნეობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურაში. ევროკავშირთან დაახლოების კუთხით კი აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს დივერსიფიკაციის ისეთი მოდელი, რომელიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება ევროპულ მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოსთვის ტრადიციული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია. მასში ჩართულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური ზრდის კუთხით და, იმავედროულად, უზრუნველყოფს ყველაზე მონყვალად მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მაქსიმალური ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პროცესში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული და კომპეტენტური მხარე, კერძოდ, შესაბამისი სამინისტროები, ექსპერტები, მეცნიერ-მუშაკები და უშუალოდ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წარმომადგენლები.

ჩვენი პროექტი ითვალისწინებდა ისეთი კვლევის ჩატარებას, რომელიც მოიცავდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხარეების პოზიციებისა და ხედვების შესწავლა-ანალიზს. დამატებით გამოვიკვლიეთ ისეთი საუკეთესო ევროპული გამოცდილება, რომელიც ადეკვატურია საქართველოს რეალობისთვის. შევიმუშავეთ ამ მოდელის ადაპტირების რეკომენდაციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის ძირითადი მიზანი: ფერმერული მეურნეობების განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და პერსპექტივების დასაბუთება ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით. შესაბამისად, დაისახა შემდეგი ძირითადი ამოცანები: ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესახებ ბიბლიოგრაფიული კვლევის ჩატარება; კვლევის ობიექტის შერჩევა; კვლევისათვის კითხვარისა და

ინტერვიუების ჩატარების სახელმძღვანელოს მომზადება; ინტერვიუების ჩატარება; ტრანსკრიპტების მომზადება; ევროკავშირის ქვეყნების ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და არსებული მოდელების შესწავლა; ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის მოდელების შეფასება; მოდელების და რეკომენდაციების შემუშავება მიკრო და მაკრო დონეზე საქართველოში ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შე-



ეთერ სარაიშვილი

საძლებლობების უზრუნველსაყოფად და სხვა.

— რა ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა კვლევის პროცესში?

— კვლევის საფუძველზე შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა: ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის პროცესი კახეთის რეგიონში, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა, სანყის ეტაპზე; მევენახეობაში ჩართულია ძირითადად მცირე ზომის ფერმერები და ისინი დამოკიდებული არიან მსხვილი და საშუალო ღვინის ქარხნების მიერ დაწესებულ ფასზე; დაბალი ფასებისა და შემოსავლების სიმცირის გამო ფერმერები ვერ ახდენენ წარმოების დივერსიფიკაციას. მსხვილ ქარხნებზე დამოკიდებულება დივერსიფიკაციის არასახარბიელო პერსპექტივაა; მცირე ფერმერებს, რომლებიც იყენებდნენ გაფართოების სტრატეგიას, აქვთ ბევრად უკეთესი ეკონომიკური შედეგები, ვიდრე ფერმერებს, რომლებიც ჩართულნი არ არიან დივერსიფიკაციის პროცესში. ფერმერები გაფართოების სტრატეგიის გამოყენებით ლიდრობენ წმინდა შემოსავლით ერთეულ ოჯახზე; მოქმედი სუბსიდირების პროგრამები არ არის დივერსიფიკაციის ეფექტიანი საშუალება; ასევე, დაზღვევა ვერ ასრულებს დივერსიფიკაციის ხელშეწყობას როგორც; დივერსიფიკაციაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კოოპერირებას, რაც თითქმის არ ხდება. მცირე ფერმერთა ნაწილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიწის გამსხვილება საქმიანობის გაფართოების აუცილებელი წინაპირობაა. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად, მაინც ვერ ახდენენ გაერთიანებას, ძირითადად ცოდნის ნაკლებობისა და კოოპერაციისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო; რუსეთის ბაზარი ადვილად ხელმისაწვდომია მცირე მასშტაბის ღვინის ქარხნებისთვის, ასევე ზოგიერთი სხვა დივერსიფიკირებული პროდუქტებისთვის. შესაბამისად, პრიორიტეტულად მათთვის ამ ბაზრის დივერსიფიკაცია

განხილვება; მევენახეებიც და მეღვინეებიც თანხმდებიან, რომ უმთავრესი გამოწვევა არის ღვინის საერთაშორისო ბაზრების გაფართოება/დივერსიფიკაცია. თუმცა, ამ პროცესში თითქმის არ არიან ჩართულნი საშუალო და მცირე ზომის მწარმოებლები; გამოუყენებელია პროდუქტების დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები: არაყის წარმოება, სუფრის ყურძენი, ყურძნის წვენი, ნიჰნის ზეთი, ღვინის ტურიზმი და სხვ.; მცირე ფერმერული მეურნეობების შესახებ მნიშვნელოვნად არის შეზღუდული სტატისტიკური მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, რაც ასეთი ტიპის მეურნეობების მიმართ ართულებს როგორც კვლევებს, ასევე სხვადასხვა გადამყვებელი მიღების შესაძლებლობებს; არ არსებობს სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა წარმოების სტრატეგიული განვითარებისა და გაფართოებისთვის.

— რა რეკომენდაციები შეიმუშავეთ კვლევის შედეგად?

— რაც შეეხება რეკომენდაციებს, მომზადდა ორი ტიპის რეკომენდაცია: სამთავრობო სტრუქტურებისთვის და უშუალოდ ფერმერებისთვის. მათგან მნიშვნელოვანია: დივერსიფიკაციის სტრატეგია უნდა გახდეს მცირე ღვინის ქარხნების ამუშავება; საჭიროა პროდუქტების დივერსიფიკაციის პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფოს მიერ დასაბუთებული პროგრამებითა და შესაბამისი კვლევებით; დასახლებული ლოკაციების შესაბამისად აუცილებელია მცირე ფერმერების მიერ ყურძნის, ღვინისა და დივერსიფიკირებული პროდუქტების პირდაპირი გაყიდვის ორგანიზება; შემუშავებულია დივერსიფიკირებული პროდუქტების შესაძლებლობების სქემა: არყის წარმოება; სუფრის ყურძნის ჯიშების გაფართოება; ყურძნის წვენი; ნიჰნის ზეთი; ღვინის ტურიზმი; მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის პროცესის განვითარებისთვის აუცილებელია კანონის მიღება „ფერმერული მეურნეობების შესახებ“; აუცილებელია ღვინის ბაზრის ტრადიციული ბაზრების დივერსიფიკაცია: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი; ასევე, მნიშვნელოვანია პერსპექტიული ბაზრების დივერსიფიკაცია შემდეგ ქვეყნებში: ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა.

სახელმწიფო პროგრამების მიმართულებით აუცილებელია:

- ა) პროგრამებს შორის კოორდინაცია;
- ბ) პროგრამების შემუშავების დროს მცირე ფერმერების საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი ფოკუსირება;
- გ) პროგრამების შესახებ მეტი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება და ფერმერების ინფორმირება;
- დ) სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასება კვლევების საფუძველზე; საჭიროა ფერმერული მეურნეობების ხელმისაწვდომობის გაზრდა იაფ აგრო-კრედიტებზე.

კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საშუალო პერიოდის არსებობას; საჭიროა კოოპერირების იდეის სწორი არგუმენტაცია, პროპაგანდა და კოოპერატივების შექმნის ეფექტიანი მხარდაჭერის სისტემის ამოქმედება და სხვა.

— თქვენი შეფასებით, მიზნობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა პროექტებმა რა დადებითი მოვლენები გამოიწვია და რა მოუტანა პროექტის თითოეულ მონაწილეს?

— მიზნობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა პროექტებმა უდავოდ დადებითი

მეცნიერების „ამუშავება“ უნივერსიტეტში გამორიცხავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თსუ-ში სტატისტიკაა

მეოთხე გვერდიდან

მოვლენები გამოიწვია: გაიზარდა კვლევებისადმი ინტერესი და პასუხისმგებლობა; მომზადდა კვლევებზე დაფუძნებული სამეცნიერო შრომები და გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში შრომების კრებულებში; პროექტში ჩართულმა სტუდენტებმა მიიღეს კვლევის გამოცდილება, მოხდა თაობებს შორის ურთიერთობების განვითარება; შესაბამისად, ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა, ურთიერთგაზიარება და სხვ.



სიმონ გვიშვილი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევა

გვესაუბრება პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი სიმონ გვიშვილი (კათედრა: ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა)

— ბატონო სიმონ, რამდენი მონაწილე იყო თქვენს პროექტში?

— კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა სულ 11 პირი. მათ შორის, 8 აკადემიური პერსონალი და 3 სტუდენტი (2 დოქტორანტი და 1 მაგისტრანტი). აკადემიური პერსონალიდან პროექტში მონაწილეობდა: პროფესორი ქეთევან მარშავა, ასოცირებული პროფესორები: მარინე მინდორაშვილი, ნინო აბესაძე, მერაბ ხმალაძე, მარინა მუჩიაშვილი; ასისტენტი-პროფესორები: ზამირა შონია და მაია გიორგობიანი; დოქტორანტები: შორენა ფარჯიანი და ნათია გიგინეიშვილი, მაგისტრანტი — ანა აბესაძე.

— თქვენი თემა უშუალოდ ეხება ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკურ კვლევას. ეს გამოწვეული იყო შემდგომი ახალი მიზნებისა და ამოცანების დასახვისთვის?

— კვლევის ძირითადი მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა. ძირითადი მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის დასაქმებულ კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის მიერ სპეციალისტთა მომზადების სრულყოფის მიზნით, საჯარო და კერძო სექტორებიდან პოტენციური დამსაქმებლების შეფასების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესწავლა.
- კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სხვადასხვა ასპექტის შეფასება დასაქმების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე და მათ შორის შესაბამისობის განსაზღვრა;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განაპირობებენ საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირების აუცილებლობას შემდგომში.

კვლევა მიმდინარეობდა წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარების შესაბამისად, რომელთა ელექტრონული ვერსიები ჩატვირთული იყო Google Drive-ის სისტემაში. კვლევის პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული შემდეგი მეთოდები: შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვება, მონაცემთა თავმოყრა-დაჯგუფება, შეფარდებითი და საშუალოების მეთოდი, ვარიაციული ანალიზის, ასევე, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. კვლევის პროცესში მიღებული რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება და სათანადო მაჩვენებლების გაანალიზება განხორციელდა კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

შინაარსობრივად კვლევითი პროექტი შედგება 2 ნაწილისგან: I. ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათზე მოთხოვნის სტატისტიკური კვლევა; II. ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიწოდების სტატისტიკური კვლევა.

— როგორი სურათი მიიღეთ კვლევის შედეგად?

— პოტენციური დამსაქმებლების რესპონდენტი იურიდიული პირებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2010-2015 წლებში მათ სამსახურში მიიღეს სხვადასხვა უნივერსიტეტების ყველაზე მეტი კურსდამთავრებული: პირველ ადგილზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (38,5%); II და III ადგილზე ილიას უნივერსიტეტი (17,4%) და თავისუფალი უნივერსიტეტი (10,1%), ხოლო IV და V ადგილებზე აღმოჩნდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (9,2%) და კავკასიის უნივერსიტეტი (6,2%).

პოტენციური დამსაქმებელი ინსტიტუციების შეფასებების თანახმად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, ყველა დანარჩენებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვთ განათლების დონეში, შემდეგ — პროფესიულ უნარ-ჩვევებში, აგრეთვე ზოგად კულტურაში, კომპიუტერის ცოდნასა და კომუნიკაბელურობაში. ამასთან ერთად, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა უპირატესობა უცხო ენების ცოდნაში არც ერთმა რესპონდენტმა არ დაასახელა, რაც დამაფიქრებელი ფაქტია და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო რესპონდენტი ინსტიტუციების აზრის შესწავლა იმის შესახებ, თუ რა საგნებს აძლევენ ისინი პრიორიტეტს სპეციალისტების მომზადებისას. აღნიშნული საკითხის შესასწავლად რესპონდენტებს შევთავაზეთ ასეთი შეკითხვა: — თქვენი აზრით, რა საგნები უნდა შეისწავლონ თსუ-ის ეკონომიკისა და

ბიზნისის ფაკულტეტის სტუდენტებმა? მიღებული პასუხები დაჯგუფდნენ ერთგვაროვანი საგნების ჯგუფებად და დავალაგეთ რანჟირებული რიგით, კლებადობის მიხედვით. პირველი შვიდეული ასეთია:

1. ფინანსები, საგადასახადო და საბანკო საქმე;
2. საბუღალტრო აღრიცხვის საგნები;
3. მათემატიკური საგნები;
4. სტატისტიკური საგნები;
5. კომპიუტერული პროგრამები Excel, SPSS, PowerPoint;
6. ინგლისური ენა;
7. მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა და ეკონომეტრიკა.

ჩვენი კვლევის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როგორ შეესაბამება მომზადებული კადრები მათდამი ნაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნული საკითხის შესასწავლად რესპონდენტებს დავუსვით შემდეგი კითხვა: — რა განაპირობებს თქვენთვის შესაფერისი კადრების მოძიების სირთულეს?

მიღებული პასუხების დაჯგუფებისა და რანჟირების შედეგად ყველაზე ხშირი პასუხები ასე განაწილდა:

1. მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი რეგიონებში;
2. კვალიფიციური კადრების მიღება და მათი შენარჩუნება არც თუ მაღალი ანაზღაურების პირობებში;
3. სპეციფიკური გამოცდილების არქონა, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების ცოდნის არასაკმარისი დონე;
4. ახალი კურსდამთავრებულების ხშირად არასაკმარისი სიღრმისეული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე მათ უჭირთ დოკუმენტაციასთან მუშაობა, მიმონერის წარმოება და გუნდური მუშაობა.

კვლევის ფარგლებში საკუთარი წინადადებები წარმოადგინა სულ 257-მა დასაქმებულმა კურსდამთავრებულმა. მათი კომენტარების უმეტესი ნაწილი გულისხმობს ცვლილებების აუცილებლობას ფაკულტეტზე, კონკრეტულად კი: სწავლების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებას და მსოფლიოში აპრობირებულ თანამედროვე მიდგომებს, ასევე იმ საგნების შესწავლის აუცილებლობას, რომლებიც ვინრო პროფესიულ განათლებაზე იქნება ორიენტირებული (ბაკალავრიატში ბოლო 2 წელი მხოლოდ ასეთ საგნებს დაეთმობა); უნდა გაიზარდოს კომპიუტერული პროგრამების, განსაკუთრებით ხცელ და შშმ-ის სწავლების ხარისხი და გაძლიერდეს უცხო ენების სწავლება; შეიქმნება სასიამოვნო სასწავლო გარემო, პირველ რიგში, მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით.

— კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ, გარკვეულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ სასწავლო

პროცესში...

— რა თქმა უნდა, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები სასარგებლო იქნება სწავლების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, გაფართოებისა და განვითარებისთვის. ყოველივე ეს კი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საფუძველია.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია საქართველოში და ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების ძირითადი მიმართულებები

გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია (მაკროეკონომიკის კათედრა)

— ქალბატონო ნაზირა, თქვენს პროექტში ბევრი სტუდენტი იყო ჩართული. ძირითადად რა გაითვალისწინეთ სტუდენტთა შერჩევის პროცესში?

— პროექტში ჩემთან ერთად მონაწილეობდა მაკროეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა, ასევე ჩვენი კათედრის დოქტორანტები: გიორგი თეთრაული, ალექსანდრე ერგეშიძე, I და II კურსის მაგისტრანტები: ცოტნე ჟღენტი, ნინო ბინაძე, კახა დაუშვილი. რაც შეეხება პროექტის მონაწილეების შერჩევის პროცესს, დავეყრდენით ძირითად მოთხოვნას სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ, მაგრამ ის გარემოებაც მინდა აღვნიშნო, რომ ეს სტუდენტები კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში მაღალი აქტივობით გამოირჩევიან.

— რითაა განპირობებული თქვენი პროექტის თემის აქტუალობა და რა ძირითად მიზანს ემსახურება?

— იმ პრობლემათა შორის, რომელთა შესწავლა და გადაჭრა თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ეკონომიკის შეუქცევადი ფუნქციონირებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური პრობლემების ფორმირების მიზეზების გამოაშკარავება და, შემდგომში, მისი აღმოფხვრის გზების მოძიება. ამისათვის კი აუცილებელია იმ ობიექტური პირობების შესწავლა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ტრანსფორმაციულმა პერიოდმა და რომლის დომინირებადი ხასიათი შემდგომი რეფორმების თავისებურებაში გამოიხატა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა, არსებული პრობლემების დაძლევის პროცესში, ენიჭება მაკროეკონომი-

მე-6 გვერდზე



ნაზირა კაკულია სტუდენტებთან ერთად



მეცნიერების „ამუშავება“ უნივერსიტეტში გამორიცხავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თსუ-ში სტაბილიზაციაა

მეოთხე გვერდიდან

კური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც ინსტიტუციონალური ბაზის შექმნისა და დამკვიდრების საფუძველზე უზრუნველყოფს მხოლოდ ტრანსფორმაციულ პერიოდში არსებული მოვლენების სისტემურ შესწავლას.

პროექტის ძირითად მიზანს კი წარმოადგენდა: პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში ინსტიტუტების ფორმირებისა და მისი ჩამორჩენის დაძლევის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება მაკროეკონომიკური რეფორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

— მაკროეკონომიკური რეფორმების სრულყოფილი განხორციელება ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ მიზანს წარმოადგენს. რა სახის სამუშაოები ჩატარეთ ამ მიზნის მისაღწევად?

— მიზნის მისაღწევად ჩვენ მიერ დასახა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში ინსტიტუციური კუთხით გატარებული რეფორმების სისტემატიზაცია;
- ინსტიტუციური რეფორმების ეფექტიანობის ჩვენება კავკასიის რეგიონის (აზერბაიჯანი, სომხეთი) და ესტონეთის — ყველაზე წარმატებული პოსტკომუნისტური ქვეყნის ქართლში;
- ინსტიტუციური ცვლადების რაოდენობრივ ცვლადებზე მჭიდრო კავშირის არსებობის გამოვლენის მიზნით ინსტიტუტების ცვლილებების გაზომვა (რეგრესულ-კორელაციური ანალიზის გამოყენებით მოხდება ინსტიტუციური ცვლადების ზეგავლენის ჩვენება რაოდენობრივ ცვლადებზე (მშპ-ის რეალური ზრდა და საშუალო წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსით));
- მოდელის სახით წრფივი მრავლობითი რეგრესიის გამოყენება;
- ინსტიტუციური ინდიკატორების შერჩევა და შეფასება;
- ინსტიტუციური ჩამორჩენის ძირითადი ინდიკატორების გამოვლენა;
- ემპირიულ დასკვნებზე დაყრდნობით ეკონომიკურ განვითარებასა და ინსტიტუტების განვითარებას შორის არსებული კავშირის დადგენა;
- WGI ინდიკატორების მიხედვით (8 ინდიკატორი) საქართველოს ესტონეთთან შედარებითი ჩამორჩენის მიზეზების ანალიზი;
- ძირითადი ინსტიტუტების გამოვლენა, რომელთა ფუნქციონირებაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს: კლასიკოსების, თანამედროვე უახლესი ლიტერატურისა და ქართველი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული შრომები ამ მიმართულებით — რეგრესულ-კორელაციური ანალიზის გამოყენებით ინსტიტუციური ცვლადების ზეგავლენის ჩვენება რაოდენობრივ ცვლადებზე. ამ მიზნისთვის მოდელში გამოყენებულ იქნა როგორც ინსტიტუტების ტრანსფორმაციის ამსახველი ცვლადები, ასევე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. მოცემულ კვლევაში მოდელის ასაგებად არჩეულ იქნა მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელი;

მოდელის სახით, ამ შემთხვევაშიც, არჩეული იქნა წრფივი მრავლობითი რეგრესია. მოდელის სპეციფიკაციის ეტაპზე მოხდა შემდეგი ცვლადების არჩევა: შედეგობრივი ცვლადის სახით არჩეულ იქნა სახელმწიფო მმართველობის ინდიკატორები-Worldwide Governance Indicators (WGI), რომელთაც საფუძველად უდევს 1990-იან წლებში დაწყებული მსოფლიო ბანკის კვლევები. აღნიშნული ინდიკატორები (ინდექსები) გაიანგარიშება 1996 წლიდან, მოიცავს მსოფლიოს 212 ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის 6 ძირითად ასპექტს, რომელიც შემდეგ აგრეგირდება 6 ინდიკატორის სახით. ფაქტორული ცვლადების სახით კი არჩეულ იქნა Heritage Foundation-ის 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ეს ინდექსი ახასიათებს ეკონომიკის 4 ძირითად სფეროს: კანონის ძალაუფლება (Rule of Law); სახელმწიფოს (rolis) სიდიდე (Government Size); რეგულირების ეფექტიანობა (Regulatory Efficiency); ბაზრის გახსნილობა (Market Openness).

აღნიშნული სფეროების შეფასების მიზნით, მთლიანი ინდექსი, რომელიც შედგება 10 დამოუკიდებელი ინდიკატორისგან, ობიექტურობისა და ეკონომიკური დასაბუთების მაღალი დონის უზრუნველყოფისთვის დეტალურად განვიხილეთ. აღსანიშნავია, რომ რეგრესიის აგებამდე განხორციელდა როგორც ფაქტორული, ისე შედეგობრივი ცვლადის დინამიკური მწკრივების სტანდარტიზებულ მასშტაბში გადაყვანა. როგორც მიღებული რეგრესიის შეფასებიდან გამოჩნდა, მთლიანი მოდელის სიზუსტე მივიღეთ საკმაოდ მაღალი, რაც დაადასტურა დეტერმინაციის როგორც ჩვეულებრივმა, ისე შესწორებულმა მაჩვენებელმა.

კვლევის პირველ ნაწილში განვიხილეთ ტრანსფორმაციის პერიოდისთვის დამახასიათებელი ევოლუციური თეორიის (ნელსონი, უინტერი), ტრანს-აქციული ხარჯების თეორიის (რონალდ ქოუზი) და ახალი ინსტიტუციური თეორიის (დუგლას ნორტი) კლასიკოსთა ნაშრომები და მათი მნიშვნელობა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის;

მეორე ნაწილი მოიცავდა კვლევას ინსტიტუტების ევოლუციური განვითარების თავისებურების შესახებ საქართველოში (1991-1993 წლები, როგორც ტრანსფორმაციის დასაწყისი; 1994-2004 წლები; 2004-2014 წლები — რეფორმების მეორე ტალღა; 2014 წლიდან დღემდე — განხორციელებული რეფორმები ინსტიტუციური ბაზის ფორმირების მიმართულებით);

მესამე ნაწილში კვლევა განხორციელდა სამი მიმართულებით:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ძირითადი ინსტიტუციური ინდიკატორების შედარებითი ანალიზის ჩატარება;
 - მიღებული შედეგების საფუძველზე რეალურ ეკონომიკასა და ინსტიტუტებს შორის კავშირის განსაზღვრა;
 - WGI ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს ინსტიტუციური ჩამორჩენის დასაბუთება (ეტალონი ქვეყანა — ესტონეთი).
- რა სურათი გამოიკვეთა კვლევის ჩატარების შემდგომ ეტაპზე?
- კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი შედეგები:
- ჩატარებული შედარებითი ანალიზი ინსტიტუციური კუთხით რიგ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის;
 - ემპირიულ დასკვნებზე დაყრდნობით დასაბუთებულია ინსტიტუციური განვითარების ძლიერი ზეგავლენა რეალურ ეკონომიკაზე;



პრეზენტატორი
ლარისა ყორღანაშვილი

• გამოვლენილია დადებითი კავშირი ინსტიტუციურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის;

• ფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეფასებულია რვა ინსტიტუციური ინდიკატორი, რომელთა შორისაც გამოვლინდა საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენაზე მოქმედი ინდიკატორები;

• დასაბუთებულია, რომ ყველაზე ძლიერად ქვეყნის ინსტიტუციური ჩამორჩენის შემცირებაზე ვაჭრობის თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება და ფისკალური თავისუფლება მოქმედებს;

• გამოვლინდა საფუძველზე ნაჩვენები იქნა საქართველოს თითოეული ინდიკატორის მნიშვნელობის გადახრა ესტონეთის შესაბამისი ინდიკატორისგან, რის შედეგადაც თითოეულმა დამოუკიდებელმა ცვლადმა აღნიშნა კონკრეტულ სფეროში (ანუ თითოეული ინსტიტუტის) საქართველოს ჩამორჩენის დონე.

რეზიუმეს სახით, შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ინსტიტუტების განვითარების მჭიდრო დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდაზე, რისი დასაბუთებაც წარმოადგენდა ჩვენი კვლევის მიზანს.

დაგეგმილია ნაშრომის თარგმნა და გამოცემა ინგლისურ და რუსულ ენებზე. ნაშრომი აპრობირებული იქნება 4 საერთაშორისო კონფერენციაზე (გერმანია, პოლონეთი, იტალია, კანადა).

— აღნიშნული ღონისძიება, როგორც თქვენთვის ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მიერაა ინიცირებული და პირველად განხორციელდა. თქვენი აზრით, გარდა იმისა, რომ მოხდა კონკრეტულ პრობლემათკაზე მუშაობა, კიდევ რა დადებითი მხარეები გამოიკვეთა პროექტზე მუშაობის პროცესში?

— რაც შეეხება იმას, თუ რა მოგეცა ამ პროექტმა — ალბათ, უპირველესი იყო და არის ახალი თაობის პოტენციალის მეცნიერებისკენ მიმართვა სამეცნიერო კვლევაში ჩართულობით. ეს არის პროექტი, რომელმაც შეძლო სამეცნიერო თაობათა შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობის დასაბუთება.

აკადემიური პერსონალის უპირველესი მიზანი, სწავლებასთან ერთად, არის ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათში მეცნიერული კვლევის სურვილის ჩამოყალიბება. ამის საუკეთესო გზა კი ერთობლივი მუშაობის პერიოდში შექმნილი ის არაფორმალური გარემოა, რომელშიც ეს სურვილები იბადება და რომელთა განხორციელებაც, უფროსი თაობის დახმარებით, რეალურად ხდება შესაძლებელი და რაც საკმაოდ დიდი სტიმულია ახალგაზრდა მეცნიერთა ახალი ტალღის შესაქმნელად.

**ბიზნესის ტექნოლოგიური
გარემო საქართველოში და მისი
გავლენა ექსპორტის გლობალურ
კონსუპტუნარიაზე**

**გვესაუბრება სამეცნიერო
ხელმძღვანელი, პროფესორი
იანა მისინია
(საერთაშორისო ბიზნესის კათედრა)**

— ბატონო იანა, ვინ იყვნენ თქვენი პროექტის მონაწილეები და ძირითადად რა მიმართულებით განხორციელდა კვლევა?

— პროექტში მონაწილეობდნენ: ლარისა ყორღანაშვილი — ასოცირებული პროფესორი, შოთა შაბურიშვილი — ასოცირებული პროფესორი, დავით სიხარულიძე — ასოცირებული პროფესორი, ლილა ქადაგიშვილი — ასისტენტ პროფესორი, ვახტანგ ჭარაია — ეკონომიკის დოქტორი (პროექტის დაწყებისას ჩართული იყო როგორც დოქტორანტი), ოთარ ანგურაძე — დოქტორანტი, ეკა მალაფერიძე — ბაკალავრიატის სტუდენტი. მინდა პროექტის ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადო კეთილსინდისიერი და ინტენსიური შრომისთვის და განსაკუთრებით გამოვყო პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი, რომელმაც დიდი ენერჯია დახარჯა პროექტის დროულად და ხარისხიანად დასრულების საქმეში და წარმატებით წარადგინა ჩვენი პროექტი.

პროექტის თემატიკის შერჩევას საფუძველად დაედო თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ბიზნესში მიმდინარე ტრანსფორმაციული ცვლილებები. მსოფლიო გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებამ დღის წესრიგში დააყენა ბიზნესის სწრაფი ტემპებით განვითარების ამოცანა. ეკონომიკური საზღვრების გახსნილობამ, საბაჟო და საგადასახადო რეჟიმების ლიბერალიზაციამ თანამედროვე ბიზნესი მთლიანად მოაქცია შეფარდებითი უპირატესობის თეორიის ზემოქმედების ქვეშ. ეს ობიექტური და პრაქტიკული რეალობა გახდა, გამომდინარე იქიდან, რომ კონკურენციამ საერთაშორისო, გლობალური ხასიათი მიიღო და, შესაბამისად, ღია ეკონომიკის პირობებში აზრი დაკარგა არაკონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. დღეს ბიზნესის განვითარების მთავარი კრიტერიუმი იაფი და ხარისხიანი საქონლის დამზადებაა. ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი წარმოების ფაქტორების ერთმანეთთან ისეთნაირად შეერთება, რომ მინიმალური დანახარჯებით მივიღოთ მაქსიმალური ეფექტი. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია იმ გარემოს სუსტ და ძლიერ მხარეებზე, სადაც ბიზნესს პრაქტიკულად უხდება საქმიანობა.

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება ყველა დონის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებული ფაქტორი ხდება. ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საქართველო ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით დაბალ დონეზე იმყოფება, რაც განაპირობებს ექსპორტის დაბალ კონკურენტუნარიანობას და ბიზნესის ახალ საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების სირთულეს.

ლადო პაპავას თსუ-ში რექტორად მოღვაწეობის ანბარი

პირველი გვერდიდან

უმთავრესი, რისი გაკეთებაც პირ მოხერხდა

აკადემიკოსმა ლადო პაპავამ თავისი გამოცდილება დაიწყო იმით, რომ რექტორობის 3-წლიან პერიოდში ვერ შეძლო საარჩევნო პროგრამის უმთავრესი პუნქტის შესრულება — უნივერსიტეტისთვის ინსტიტუციური საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვება. მან აღნიშნა, რომ დღიდან რექტორად არჩევისა, იგი გამოუდგებოდა სვამდა ამ საკითხს, თუმცა ხელისუფლებაში შესაბამისი პოლიტიკური ნება არ არსებობდა. „წასვლის წინ კიდევ ერთხელ გადავზავნე წერილი პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის და განათლების და მეცნიერების მინისტრის სახელზე, რომ, თუნდაც 2018 წლიდან, ბიუჯეტიდან დაიწყო უნივერსიტეტების, ინსტიტუტებისა და სტუდენტების ინსტიტუციური დაფინანსება“, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ მთავრობას, რომელიც ახალი არჩევნების შემდგომ დაკომპლექტდება, ექნება იმის დრო, რომ 2018 წლის პირველ იანვრამდე დაადგინოს — რომელი უნივერსიტეტისთვის რა რაოდენობის თანხის გამოყოფა იქნება შესაძლებელი ბიუჯეტიდან.

სიახლეები, რომლებიც თვალისწინებდა

მნიშვნელოვან სიახლეებად, რომელმაც უნივერსიტეტის იმიჯზე დადებითად იმოქმედა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ რამდენიმე ცვლილება დაასახელა: სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში გამოყენებული სახელმძღვანელოების თარგმნა; უნივერსიტეტის წარმატება საერთაშორისო რეიტინგებში და 100%-იანი გამჭვირვალობის მიღწევა.

სტრუქტურული ცვლილებებიდან მან გამოჰყო: ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ჩამოყალიბება (2014 წლის ოქტომბერში); საინჟინრო სკოლის ამოქმედება სან დიეგოს (აშშ) უნივერსიტეტთან ერთად (2015-2016 სასწავლო წლიდან) და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინტეგრაცია თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტთან (2015-2016 სასწავლო წლიდან).

„ჩემს კონცეფციაში მენერა, რომ გამსხვილებული ფაკულტეტები უნდა დაშლილიყო. ახლაც არ მიმჩნია სწორად, რომ არსებობს ერთი დიდი, მსხვილი ფაკულტეტი, რომელსაც ჰქვია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შეიძლება დაისვას კითხვა — თუ მიგაჩნია, რომ ასე სწორი არაა, რატომ არ დაშალე? — იმიტომ, რომ ამისთვის ფული არ იყო. არის მთელი რიგი მიმართულებები, რომლებიც საკუთარ თავს ვერ ინახავენ და ერთადერთი გზა ამ სპეციალობების (მათ შორის, სტრატეგიული მნიშვნელობის სპეციალობების) შენახვისა და გადარჩენისთვის სწორედ ერთი ქვაბის პრინციპით მიღებული ფულია. სხვა შემთხვევაში ეს მიმართულებები დაიხურება. როცა ფული არ გაქვს, სტრუქტურულ ცვლილებებსაც ვერ გაატარებ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ და მადლობა გადაუხადა აკადემიურ საბჭოს და კოლეგებს იმ თანადგომისთვის, რაც მათ 2014 წლის ოქტომბერში ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აღდგენისას გამოიჩინეს. „განსაკუთრებული მადლობა



თამარ მახარაძეს, რადგან იგი იყო მაშინ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი და, რომ არა მისი თანადგომა, ეს სტრუქტურული ცვლილება ვერ განხორციელდებოდა. არ გეგონოთ, რომ დღეს ეს ფაკულტეტი სხვა რომელიმე ფაკულტეტის ხარჯზე არსებობს. ის თვითონ ინახავს თავის თავს“, — აღნიშნა მან.

შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ლადო პაპავამ გამოკვეთა, უნივერსიტეტში თვისობრივად ახალი საინჟინრო სკოლის შექმნა. „ასეთი რამ უნივერსიტეტის პრაქტიკაში არ ყოფილა. მნიშვნელოვანია, რომ ის შეიქმნა ამერიკული პროექტით, ამერიკული ფულით და, რექტორატი ჩაეროდა თუ არა, მაინც შეიქმნებოდა, მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — ამერიკელების მხრიდან წარმოდგენილი იყო ორი სხვადასხვა მოდელი. ერთი მოდელით, 29 მილიონიდან, რომელსაც ისინი ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან დახარჯავდნენ, საქართველოს დარჩებოდა 4-ნახევარი მილიონი, და პლუს ამას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვანი არ იქნებოდა. ჩვენ, ქალბატონ მარინე ჩიტაშვილთან ერთად, დიდი სამუშაო გავეჩეთ, რათა წარმატებისთვის მიეღწია მეორე პროექტს, სადაც წამყვანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 29 მილიონიდან საქართველოს 11-ნახევარი მილიონი დარჩებოდა. შედეგად, ამოქმედდა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი, რომელშიც ჩვენ კოორდირებაში ვართ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე უნივერსიტეტში იყო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შემოერთება. ISET-ი ამზადებს მაგისტრანტებს და საკმაოდ პოპულარულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში. „არც ეს იყო ადვილი საქმე. აქაც საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა, მაგრამ ის დაიძლია და დღეს ამ ინტეგრაციას მოჰყვება ISET-ის ფორმატის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის არსებობა, რომელიც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა მან.

თსუ-ის საერთაშორისო აღიარება

რექტორობის პერიოდში მიღწეულ წარმატებათაგან ლადო პაპავამ გამოჰყო ასევე ის საერთაშორისო რეიტინგები, რომლებშიც თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტმა რამდენიმე ასეული პუნქტით წაიწია წინ.

პირველი სარეიტინგო მაჩვენებელი გახლდათ VEBOMETRICS-ი, რომლის მიხედვითაც, 2015 წლის მარტში, მსოფლიოს 23 ათასზე მეტ უნივერსიტეტს შორის, უნივერსიტეტი საქართველოსა და კავკასიაში პირველ ადგილზე, მაგრამ მსოფლიო სარეიტინგო სისტემაში 2006-ე იყო. უკვე რამდენიმე თვეში, მცირედი სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, უნივერსიტეტმა 830-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2016 წლის დასაწყისში კი უნივერსიტეტი კიდევ უფრო დაწინაურდა და 734-ე ადგილზე განთავსდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებას მიაღწია ასევე სამეცნიერო რეიტინგში, რომელიც აფასებს — რამდენად სერიოზულ ბაზუბშია გამოქვეყნებული უნივერსიტეტის პროფესორთა ნაშრომები (University Ranking by Academic Performance (URAP). მსოფლიოს 8 000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის, უნივერსიტეტი 985-ე ადგილზე და საუკეთესო ათასეულში შევიდა.

„დიდი გამარჯვება მოიპოვა, ასევე, იურიდიულმა ფაკულტეტმა. 2015 წელს მან მოახერხა FIBAA-ს სააკრედიტაციო საბჭოს მიერ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის — საჯარო მმართველობის — დამტკიცება-აკრედიტაცია 5 წლის ვადით, შენიშვნის გარეშე. FIBAA — გერმანული სააკრედიტაციო საბჭოა, რომელსაც აქვს საერთო ევროპული სტატუსი, ანუ მის მიერ აკრედიტირებული პროგრამები აღიარებულია მთელ ევროპაში. ეს არის ჩვენი ქართული იურიდიული სკოლის უნიკალური გამარჯვება და მას სჭირდება განმტკიცება და განვითარება“, — განაცხადა ლადო პაპავამ, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმატებას, რომელმაც ბიზნესის და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის მიერ (IABE) გამართულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე II ადგილი დაიკავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფერენციაზე პირველი ადგილი დაიკავა იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტმა (ლინცი, ავსტრია), ხოლო მესამე — აშშ-ს ფროსტბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამები თსუ-ში

ლადო პაპავამ რექტორობის პერიოდში განუხორციელა წარმატებულ საქმეთა შორის ასევე ისაუბრა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების გახსნის თაობაზე. კერძოდ: 2013-2016 წლებში ამუშავდა 8 სადოქტო-

რო, 7 სამაგისტრო, 9 საბაკალავრო და 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. „ამათგან ერთს გამოვყოფ, რადგან ეს პრინციპულად მნიშვნელოვანდ მიმჩნია — უნივერსიტეტში დავაბრუნე დემოგრაფიის შესწავლის პროგრამა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, დემოგრაფიას არ ასწავლიდნენ ქვეყანაში, სადაც ასეთი მძიმე დემოგრაფიული პრობლემაა. ჩვენ აღვადგინეთ სამაგისტრო პროგრამა და, გარკვეული სპეკტიციზმის მიუხედავად, სტუდენტების მხრიდან დაინტერესება ძალიან დიდი აღმოჩნდა. დღეს ამ მიმართულებით არა მხოლოდ მაგისტრატურაში სწავლობენ, არამედ ბევრი მაინორ-პროგრამადაც ირჩევს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა მან.

2015 — მეცნიერების წელი უნივერსიტეტში

რექტორის ინიციატივით, 2015 წელი უნივერსიტეტში მეცნიერების წლად გამოცხადდა და ბევრი სიახლე დაინერგა: შემუშავდა მინიმალური სტანდარტი, რომელიც 2017 წლიდან ამოქმედდება. ამ სტანდარტით პუბლიკაციები საერთაშორისო ბაზუბში უნდა იყოს ინდექსირებული, რადგან უნივერსიტეტის შეფასება რეიტინგებში სწორედ ამ ბაზუბის მიხედვით ხდება. სპეციალურად გამოიყო ქართველოლოგიურ დარგებში რეცენზირებადი პუბლიკაციები.

სამეცნიერო სტანდარტში, ასევე, გათვალისწინებულია კონფერენციებში მონაწილეობა და გრანტების მოპოვება. აქვე აკადემიკოსმა ლადო პაპავამ ისიც აღნიშნა, რომ, ინგლისურთან ერთად, აუცილებელია სტატიები ქართულადაც დაიწეროს, რადგან ამით სამეცნიერო ტერმინოლოგია განვითარდება და ახალგაზრდებს შეეძლება, მშობლიურ ენაზე დაუფლონ მეცნიერების ამ თუ იმ დარგს.

მეცნიერების ხელშეწყობასთან ერთად, ლადო პაპავამ ისაუბრა აკადემიური პერსონალის შრომითი ანაზღაურების ახალ წესზე, რომლის მიხედვითაც განერილი იქნება პროფესორის ყველა აქტივობა. „დღეს გვაქვს ბუნდოვანი სიტუაცია. პროფესორის ხელფასი შედგება 50% სამეცნიერო საქმიანობისა და 50% პედაგოგიური საქმიანობისაგან, მაშინ, როდესაც პროფესორს ბევრი სხვა აქტივობაც აქვს. მაგალითად, დღემდე არ ფასდება დოქტორანტისა თუ მაგისტრანტის ხელმძღვანელობა. ჩვენ სპეციალურად მოვამზადეთ სერიოზული დოკუმენტი, რომელზედაც მუშაობდა დიდი ჯგუფი პროფესორ იოსებ სალუქვაძის ხელმძღვანელობით. ეს დოკუმენტი აკადემიურმა საბჭომ მოიწონა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი მისი სენატზე გატანა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს დოკუმენტი მიღებული იქნება, რაც, საბოლოოდ, პროფესორის სტატუსთან დაკავშირებით ინსტიტუციურ ბაზას ჩამოაყალიბებს“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

დიდი ყურადღება დაეთმო ასევე აკადემიური სივრცის გაჯანსაღებისთვის განუხორციელა საქმიანობა. ითქვა, რომ 2013-2016 წლებში უნივერსიტეტმა ბრძოლა გამოუცხადა აკადემიური ეთიკის დარღვევის სხვადასხვა ფაქტს, მათ შორის, პლაგიატს, კომპილაციას, შედეგების გაყალბებასა და განადგურებას. უნივერსიტეტმა მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება და, აკადემიური საბჭოს თანხმობის შემდეგ, სენატმა დაამტკიცა სპეციალური დებულება, რომლის მიხედვითაც,



ლადო პაპავას ტსუ-ში რექტორად მოღვაწეობის ანბარი

მეშვიდე გვერდიდან

უნივერსიტეტში უკვე არსებობს სისტემა, რომ აკადემიური ეთიკის დარღვევის პრევენციები რაც შეიძლება ნაკლები იყოს. რაც ეს ნესი მივიღეთ, უკვე 4 საკმეა განხილული. აქედან 2 პროფესორს პლაგიატის ფაქტი დაუდასტურდა და ორივეს მოუწია უნივერსიტეტის დატოვება.

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები მაცნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც აკადემიკოს ლადო პაპავას რექტორობის დროს ჩაეყარა საფუძველი, არის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხები. მისი თქმით, ეს მოხერხდა ადმინისტრაციის ხარჯების ეკონომიისა და შეკვეცის გზით. „გამოიძებნა ბიუჯეტში 525 ათასი ლარი და 7-ივე ფაკულტეტს თანაბრად (75-75 ათასი ლარი) გაუნაწილდა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თითო პროექტი არ შეიძლება აღემატებოდეს 20 000 ლარს და მასში, სულ ცოტა, 2 სტუდენტი უნდა ჩაერთოს. 2015 წლის შედეგები უკვე გვაქვს. ვფიქრობ, რომ პირველი წლისთვის ეს ძალიან კარგი იყო. მთლიანობაში, 7-მა ფაკულტეტმა შეარჩია 62 საუკეთესო პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 200-ზე მეტი სტუდენტი, აქედან 104 ბაკალავრიატის სტუდენტი, 50 მაგისტრანტი და 75 დოქტორანტი. ეს ნიშნავს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობას პროფესორებთან ერთად სამეცნიერო საქმიანობაში. ჩვენი ზოგიერთი პროფესორის სასიკადალოდ უნდა ითქვას, რომ თავისი ხელფასი საერთოდ არ აიღო. კარგად გამოგეთ, ვიცი, რომ პროფესორის შრომა უნდა ანაზღაურდეს, მაგრამ, როდესაც იგი თავისი შემოსავლის წილს სტუდენტის სასარგებლოდ თმობს, ამას მხოლოდ და მხოლოდ უნდა მივსალმო. ეს პროექტი გაგრძელდა წელსაც და კიდევ დავუმატეთ 70 ათასი ლარი. ყველა ფაკულტეტს მიეცა დამატებით 10 000 ლარი, ინტერდისციპლინური, ფაკულტეტთაშორისი კვლევებისთვის. ვიმედოვნებ, რომ ეს პროექტები არ შეჩერდება“, — განაცხადა მან.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო, ასევე, სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც, პირველ რიგში, პუბლიკაციებით ფასდება. 2013 წლიდან დღემდე 1300-ზე მეტი პუბლიკაცია განთავსდა SCOPUS-ის საკმაოდ მაღალრეიტინგულ ბაზაში. 1339 ნაშრომი არის მსოფლიოს მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი. მიღებულია 364 გრანტი, მათ შორის, 52 — საერთაშორისო.

ამავე პერიოდში დადგინდა, რომ ფაკულტეტების დეკანები და მისი 2 მოადგილე აუცილებლად შეირჩევა აკადემიური პერსონალიდან. ერთი მოადგილე უნდა ხელმძღვანელობდეს სასწავლო, ხოლო მეორე — სამეცნიერო მიმართულებას.

ბოლო პერიოდში უნივერსიტეტს 14 სამეცნიერო ინსტიტუტი შემოუერთდა. მათგან მხოლოდ 3-მა უნივერსიტეტმა ისურვა დებულებების დამტკიცება უნივერსიტეტის ფარგლებში. ესენია: ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი და მიხეილ ნოდინის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, რომელიც პარლამენტმა უნდა მიიღოს, გადაწყდება ამ



ინსტიტუტების ბედი. მნიშვნელოვანია, რომ მათ არ ჰყავთ დირექტორები, ჰყავთ მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლები და, გარდა ამ 3 ხსენებული ინსტიტუტისა, მოვალეობის შემსრულებლებს ნიშნავდა რექტორი. 2013 წლის ბოლოს, როდესაც შემომიტანეს ბრძანება, რომ დამენიშნა მოვალეობის შემსრულებლები, უარი ვთქვი და მივმართე კოლექტივს — თქვენ გადაწყვიტეთ, ვინ გინდათ მოვალეობის შემსრულებლად! შედეგად, 14-დან 13-მა ინსტიტუტმა ისევ ძველი კადრი აირჩია, მხოლოდ ერთმა შეცვალა, მაგრამ ამით ინსტიტუტებს მიეცათ იმის განცდა, რომ თუ რამე კარგი ან ცუდი გაკეთდება, ეს მათი გადაწყვეტილებაა და არა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან თავს მოხვეული“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი — უნივერსიტეტის ხელშეწყობა მომავალი მაცნიერებისთვის

პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის დაარსება ის სიახლეა, რომლითაც სამართლიანად ამყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი დაარსების მიზანი იყო დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა უნივერსიტეტისთვის აქტუალური კვლევის განხორციელებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის გზით. როგორც ლადო პაპავამ აღნიშნა, 2014 წელს კონკურსის წესით შეირჩა 5 ახალგაზრდა მეცნიერი.

„2015 წელსაც გვინდოდა იგივეს გაკეთება, მაგრამ ვეღარ შევძელით, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებმა აგვიკრძალა, რომ უნივერსიტეტს ჰყავდეს პოსტდოქტორანტი. ამის უფლება მიეცა მხოლოდ უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო ინსტიტუტებს, რაც არ არის კარგი გადაწყვეტილება. მაგალითად, წარმოიდგინეთ, ჩვენთან 14 ინსტიტუტია, მაგრამ ამ 14-ში არ არის ბიოლოგიის ინსტიტუტი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ბიოლოგიის სკოლა ერთ-ერთი ძლიერი და გამორჩეულია და აქ სადოქტორო დისერტაციის დაცვებიც ხდება, პოსტდოქტორანტურაში ახალგაზრდა მეცნიერს ვერ ავიყვანთ, რადგან ბიოლოგიის ინსტიტუტი ჩვენ ინსტიტუტების ჩამონათვალში არ გვაქვს. ნამდვილად არ ვარ წინააღმდეგი, რომ ინსტიტუტებს პოსტდოქტორანტები ჰყავდეთ, მაგრამ რატომ აგვიკრძალეს ეს ჩვენ — უნივერსიტეტებს, ფაკულტეტებს? რატომ გაკეთდა ეს აგრესიული

ჩანაწერი ჩვენ მიმართ? ეს ნამდვილად არ ვიცი. ამის შესახებ მივწერე ზემოხსენებულ ადრესატებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, განათლების მინისტრს და ვიმედოვნებ, რომ, ადრე თუ გვიან, ამ ცვლილებას გაასწორებენ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

აქვე მან ისაუბრა დოქტორანტების დაფინანსების მექანიზმზე, რომელიც უნივერსიტეტმა შეიმუშავა. კერძოდ, ყოველი ფაკულტეტის ძირითადი სემესტრის დოქტორანტებიდან სემესტრულად შეირჩევა არა უმეტეს 5 საუკეთესო დოქტორანტისა, რომელთა სწავლის საფასურსაც უნივერსიტეტი ფარავს. მათი შერჩევის კრიტერიუმებიდან მნიშვნელოვანია სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი და ასევე ის, რომ არ უნდა ჰქონდეთ სხვა დაფინანსება.

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვახსაყოფად

2015-2016 წლებში უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვადვასყოფად, დაარსდა მისი სახელობის პრემია, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ მიენიჭება ცნობილ უცხოელ მეცნიერს ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. 2014 წელს პრემია და ფულადი ჯილდო — 20 000 ლარი გადაეცა ჰაინც ფერნისს (გერმანია), ხოლო წელს — ცნობილ ამერიკელ ქართველოლოგს სტივენ ჯონსს, რომლის ლექციაც მაისში გაიმართება.

ასევე დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პროფესორთა და მეცნიერთა სამეცნიერო ფორუმი. ყოველ ფაკულტეტზე ტარდება კონკურსი წლის სამეცნიერო შედეგების მიხედვით და ერთი საუკეთესო მოხსენება წარმოდგენილი იქნება ამ ფორუმზე. ამ მოხსენების (ერთი ან რამდენიმე) ავტორი (პროფესორი) ჯილდოვდება 5000 ლარით, დოქტორანტი — 1500 ლარით, მაგისტრანტი — 1000 და ბაკალავრიატის სტუდენტი — 500 ლარით. გამარჯვებულები შედიან ფაკულტეტზე ცალ-ცალკე შეირჩევა.

ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ქართველი მეცნიერებისთვის დაწესდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია. პრემიის ოდენობაა 5000 ლარი და ისიც 2 წელიწადში ერთხელ გაიცემა. 2015 წელს ეს პრემია გადაეცა პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს. ამ პრემიის გადაცემასთან ერთად ტარდება იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაც.

პროფესორის სტატუსისა და ნახალისებისთვის

როგორც ლადო პაპავამ თავის გამოცხადებაში აღნიშნა, გასულ წლებში მომზადდა უნიკალური ცვლილება პროფესორის სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც ძალაში უნდა შესულიყო 2016 წლის სექტემბრიდან. „ცვლილებები ითვალისწინებდა პროფესორის სტატუსის დაკონკრეტებას და მათთვის მეტი სტაბილურობის განცდის მინიჭებას. „თუ პროფესორი და ასოცირებული პროფესორი ადრე აირჩეოდა 6 წლით, ჩვენ წესდებაში შევიტანეთ ცვლილება და ჩავენერეთ, რომ ასოცირებული პროფესორი აირჩევა 7 წლით, ხოლო სრული პროფესორი — 9 წლით. ეს მეტი სტაბილურობის განცდაა. ამავდროულად, სამინისტროს შევთავაზეთ, რომ გაფორმებულიყო უვალო კონტრაქტები გამორჩეული პროფესორებისთვის. ამისთვის შემოვიღეთ ძალიან მარტივი მექანიზმი, ციტირების ინდექსი, ანუ რამდენად არის ეს პროფესორი თავისი საქმიანობით საერთაშორისო დონეზე აღიარებული. ამის გარდა, ფაკულტეტები რომ არ დაჩაგრულიყვნენ, ყოველ მათგანს შეეძლო — არაუმეტეს ორი კაცისა გადაეყვანა უვალო კონტრაქტზე. ისინი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გაივლიდნენ ატესტაციას. სამწუხაროდ, დეკემბრის ცვლილებებმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ეს სისტემა დაგვიანგრა. ახალი ჩანაწერით, ყველა არჩეული პროფესორი იქნება უვალო კონტრაქტით — ეს დიდი შეცდომაა, რადგან ეს პროფესორი გაივლის ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ატესტაციას და დარჩება შტატში. დაფუძვით, იზრდება ახალგაზრდა, რომელიც ამ ატესტაციის ნორმას 2-3-ჯერ აჭარბებს, მაგრამ რადგანაც ვაკანსია არ გაქვს, კონკურსს ვერ გამოაცხადებ. ანუ ახალი ცვლილება უნივერსიტეტს ჭაობისკენ უბიძგებს“, — განაცხადა ლადო პაპავამ და დასძინა, რომ იმ ცვლილებათაგან, რომლის განხორციელებაც ამ კუთხით უნდოდა, დარჩა მხოლოდ ის, რომ ასოცირებული პროფესორი არჩეული იქნება 7 წლით.

ინიციატივა კვლევაში ნახალისებისა და სააპტიო უნივერსიტეტალოებისთვის

განეული მუშაობის ანგარიშში ხაზი გაესვა პედაგოგთა ნახალისებისთვის განეულ ღონისძიებებსაც. აღნიშნა, რომ, რექტორატის ინიციატივით, ყოველ წელს ტარდება ფარული გამოკითხვა ბაკალავრიატის სტუდენტებში, რომლის მიხედვითაც ირჩევა წლის საუკეთესო პედაგოგი. სტუდენტთა რჩეულს ყოველწლიურად გადაეცემა პრემია — 1500 ლარი.

სტუდენტთა სტიმულირებისთვის კი დაწესდა რექტორის სტიპენდია — 250 ლარი 5 თვის განმავლობაში (სულ 2500 ლარი). სტიპენდია მიეცემა ბაკალავრიატის იმ საუკეთესო სტუდენტს, რომელიც არ ფლობს სხვა სტიპენდიას. პრემია გაიცემა რექტორის ხელფასიდან და არა უნივერსიტეტის ფონდიდან.

ასევე, ახალ ინიციატივებს უნდა მიენეროს წლის პირველი საჯარო ლექციის ტრადიციის დამკვიდრება. ტრადიცია სათავეს იღებს 1918 წლის 12 თებერვლიდან, როცა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა. ამ ინიციატივის მიხედვით, შეირ-

ლადო პაპავას თსუ-ში რექტორად მოღვაწეობის ანგარიში

მერვე გვერდიდან

ჩვეა გამოჩენილი, სახელოვანი უნივერსიტეტი, რომელსაც ეძღევა პრემია და პირველი საჯარო ლექციის წაკითხვის უფლება. ამგვარი ღონისძიება 2-ჯერ უკვე გაიმართა. 2015 წლის 12 თებერვალს მოწვეული იყო ყოფილი უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ხოლო 2016 წლის 12 თებერვალს საჯარო ლექცია წაკითხა ცნობილი მეცნიერმა, ყველასთვის საყვარელმა ადამიანმა, აკადემიკოსმა მირიამ ლორთქიფანიძემ.

„უნივერსიტეტის 100 წლისთავზე დაგეგმილი გვექონდა საპატიო უნივერსიტეტის წოდების მიწიჭება. პროექტი გამზადებულია. ის იურიდიულ დეპარტამენტში დევს და, თუ მომავალ რექტორს დაინტერესებს, შეუძლია, ეს ინიციატივა განახორციელოს“, — აღნიშნა ლადო პაპავამ ინიციატივებზე საუბრისას.



ფაბლაბი და გის-ლაბი

მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტებში ფაბლაბი არის ჩვეულებრივი რამე. მისი მიზანია: ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა; სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება და პრაქტიკული მიმართულებების განვითარება; წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება და შედეგად, თსუ-ის პრესტიჟის ამაღლება. ფაბლაბის ტექნიკა მთლიანად დააფინანსა თბილისის მერიის ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა.

ასევე მნიშვნელოვანია გის-ლაბის — როგორც ინტერდისციპლინარული სწავლებისა და კვლევების ცენტრის შექმნა, რასაც საფუძვლად დაედო გასული წლის 13 ივნისის ტრაგედია. ამ ტრაგედიის შემდეგ, გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტების ინიციატივით, დაიწყო მდინარე ვერეს ხეობის შესწავლა გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. ეს კვლევა დაფინანსდა 5000 ლარით. „ამ სტუდენტებმა ჩაატარეს უნიკალური კვლევა, შექმნა ძალიან საინტერესო სამგანზომილებიანი რუკები. შემდეგ მათ გაუჩნდათ აზრები, რომ მსგავსი სამუშაოები ჩატარებინათ უფრო დიდი მასშტაბით და არა მხოლოდ ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, არამედ, მასში ჩაერთოთ, მაგალითად, სამედიცინო გეოგრაფია, ანუ დაავადებათა გავრცელება რეგიონების მიხედვით, კრიმინოგენული გეოგრაფია, ანუ კრიმინოგენული სიტუაციის ანალიზი საქართველოს რეგიონების მიხედვით და ა.შ. ამას სჭირდება თანამედროვე განათლება, თანამედროვე კვლევა და თანამედროვე ლაბორატორიები, ამიტომ გახდა ჩვენთვის პრიორიტეტული გის-ლაბორატორიის შექმნა. აკადემიურმა საბჭომ მოიწონა დებულება და იგი გადაგზავნილია სენატზე. სამწუხაროდ, ვერ ვასწრებ სენატზე ამ საკითხის გატანას. დარწმუნებული ვარ, სენატის წევრები მას მხარს დაუჭერენ“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

მან აგრეთვე ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებზე უნივერსიტეტში, როგორცაა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტთა დახმარებისთვის გაწეული ღონისძიებები (მაგალითად, ამერიკის საელჩოს დახმარებით შექმნილი უნიკალური ტექნიკის განთავსება ბიბლიოთეკაში მხედველობადაქვეითებულ სტუდენტებისთვის).

ცვლილებები აკადემიურ კონსერვაციაში

განვლილი 3 წლის შეფასებისას ასევე გამოიკვეთა ცვლილებები აკადემიურ

თანამდებობაზე არჩევის წესში. „ადრე ადმინისტრაციის წევრები იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები. ჩვენ ამაზე პრინციპული უარი ვთქვით და მივიღეთ დადგენილება, რომ საკონკურსო კომისიაში უნდა იყოს მხოლოდ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. შეიძლება აგრეთვე უცხოელი სპეციალისტის მონაწილეობა. ასევე სიახლე იყო ის, რომ საკონკურსო კომისიასთან ერთად იქმნება სააპელაციო კომისია. თუ დამარცხებული კანდიდატი უკმაყოფილოა, და როგორც წესი, ეს ასეა, მას შეუძლია მიმართოს დამოუკიდებელ სააპელაციო კომისიას, რომელიც სულ სხვა ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ამან მოგვცა საშუალება, რომ ბევრი საკამათო საკითხი უნივერსიტეტშივე დარეგულირებულიყო“, — განაცხადა ლადო პაპავამ. მანვე აღნიშნა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ფარული კენჭისყრით.

სამი წლის განმავლობაში კონკურსით თანამდებობა დაიკავა 161-მა პირმა. აქედან 126-მა პირმა თანამდებობა დაიკავა ახალი ვადით, 35-მა — პირველად. 29 პირმა კი, გარკვეული წვევების შემდეგ, კონკურსით დაიბრუნა თანამდებობა.

ლადო პაპავას უნივერსიტეტის რექტორობის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიდან აღსანიშნავია განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილ თანამშრომელთა მხარდასაჭერად გაცემული დახმარებების დაწესება. 2016 წლის 1 იანვრიდან, უნივერსიტეტის სხვა ეკონომიკური შემოსავლების ნაწილიდან, გამოყოფილია 200 000 ლარი. რექტორისგან დამოუკიდებელმა კომისიამ შეარჩია 321 პიროვნება და ერთ პიროვნებაზე, საშუალოდ, კვარტალურად გაიცემა 150 ლარი.

ურთიერთობები უნივერსიტეტს გარეთ

2013-2016 წლებში გაფორმდა 83 საერთაშორისო ხელშეკრულება სხვადასხვა უნივერსიტეტთან. ორმხრივი პროგრამების საფუძველზე ევროპის უნივერსიტეტებში სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტის 423-მა სტუდენტმა, 157 აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი გაიგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ან სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად. უნივერსიტეტმა უმასპინძლა 102 უცხოელ სტუდენტს. „ჩვენი მასპინძლობა შეზღუდულია, რომ გვექონდეს სტუდენტის სახლი ან პროფესორი სტუმრის სახლი, სადაც გავაჩერებდით მათ, ეს რიცხვი ბევრად მეტი გვექნე-

ბოდა. ამიტომ გაცვლითი პროგრამით ჩამოსული სტუდენტის თუ პროფესორისთვის ვეკრებოთ ბინას, რაც საკმაოდ ძვირი გვიჯდება“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

განვლილი საქმიანობის ანგარიში ასევე ხაზი გაესვა სახელმწიფოსთან ურთიერთობას. ითქვა, რომ უნივერსიტეტს არაერთი ობიექტი გადმოეცა. განსაკუთრებით აღინიშნა ოქროყანა-ტაბახმელას კომპლექსის გადმოცემა, რომელშიც თავისი წვლილი შეიტანა მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა. ეს იყო მისი პირადი გადაწყვეტილება.

„ქონებასთან დაკავშირებით, ზოგადად, დღემდე გაურკვეველი პრობლემა უნივერსიტეტის გარშემო. ჩვენი უნივერსიტეტი ერთადერთია თბილისში, რომელსაც აქვს საერთო საცხოვრებელი — 2 გაუბედურებული კორპუსი ბაგებში. დღემდე ვერ მივალნიეთ, რომ ეს ორივე შენობა ბალანსზე იყოს გადმოცემული. ძალიან რთული პერიოდი ჰქონდა უნივერსიტეტს, როდესაც სასაფლაო უტყდა მალღობი კორპუსის გვერდით მდებარე ბიბლიოთეკას, ასევე პრობლემები შეგვექმნა, როცა მალღობის გვერდით გაზგასამართი სადგური უნდა აშენებულიყო. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ჰქონდა მტკიცე პოზიცია, მაგრამ განსაკუთრებული მაღლობა უნდა ვუთხარა ჩვენს სტუდენტებს. რომ არა მათი აქტიურობა, დღეს უნივერსიტეტის გვერდით გაზგასამართი სადგური იქნებოდა. ამ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი გამარჯვებით დღეს იქ შენდება მრავალფუნქციური კომპლექსი, სადაც იქნება საცხოვრებელი ბინები, კომერციული ფართები. ჩვენ არავის ვუბნებთ, რა ტიპის ბინები უნდა იყოს უნივერსიტეტის გვერდით, მაგრამ, თუ ის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაა, ისეთი რამე მაინც იყოს, რომელიც უნივერსიტეტს, მის სახეს, მის მომავალს არ ეწინააღმდეგება. არც ხეები უნდა იჩეხებოდეს იქ. მე მაინც ოპტიმიზმით ვუყურებ ყოველივეს, რადგან ჩვენი უნივერსიტეტი ერთადერთი და გამორჩეულია და ქართული სახელმწიფოს ვაღია — იფიქროს მასზე“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

პრეზენტაციაზე ასევე აღინიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ინფრასტრუქტურის დაფინანსების თანხა გამოიყო, რითაც რემონტდება: მე-3 კორპუსი — 900 000 ლარის ფარგლებში; მედიცინის ფაკულტეტის შენობა — 1,5 მილიონი ლარის ფარგლებში; ელფეთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი — 600 000 ლარის ფარგლებში; ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა — 1,7 ლარის ფარგლებში; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი — 400 000 ლარის ფარგლებში და რაფაელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი — 700 000 ლარის ფარგლებში.

„ერთერთ ჩემს დამსახურებად მივიჩნევ, რომ უნივერსიტეტის ბალანსზე გვაქვს ერთ-ერთი საავადმყოფოს შენობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით დასრულდა ჩემი წარმატება. მინდა, ეს რთული საქმე გადავულოცო შემდეგ რექტორს და მონესრიგდეს საავადმყოფო“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

რექტორობის სამი წლიდან მან ასევე ისაუბრა სახელფასო პოლიტიკის ცვლილებაზე უნივერსიტეტში, რაც გამოიხატება იმაში, რომ 2014 წლიდან სახელფასო დანამატი შევიდა სარგოს ოდენობაში, რითაც სისტემა მეტად გამჭვირვალე გახდა. გარდა ამისა, 2013 წლის სექტემბრიდან რექტორს გაუუქმდა დანამატი და პრემია და მისი ხელფასი განისაზღვრა კანონით — პროფესორის უმაღლეს სარგოს დამატებული 35%.



ლადო პაპავას თსუ-ში რეპტორად მოღვაწეობის ანბარი

მეცხრე გვერდიდან

„რა შედეგი მოგვცა ამან? გამჭვირვალობა! როდესაც უნივერსიტეტი ჩავიბარე, თსუ შედიოდა უნივერსიტეტებს შორის ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაციათა რიგებში. 2013-2014 წლებში უნივერსიტეტი გადავიდა მე-3 ადგილზე 90% გამჭვირვალობით, ხოლო 2015 წელს უკვე ვართ 100%-იანი გამჭვირვალე. ეს მოხდა სწორედ სახელფასო პოლიტიკის დარეგულირებით. მართალია, პროცესი ძალიან რთული იყო და თანადგომისთვის მინდა მადლობა გადავუხადო მთელ ადმინისტრაციას, განსაკუთრებით კანცლერს დავით ჩომახიძეს, რომლის გარეშეც ამას ვერ გვაკეთებდი. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ვართ ნომერ პირველი უნივერსიტეტი და როგორ შეიძლება არ ვიყოთ გამჭვირვალე? ეს სერიოზული მიღწევაა და შედეგი არ უნდა დაიკარგოს“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.



რეპტორის ქვემოქმედება

32 თვის განმავლობაში, რაც ლადო პაპავა რეპტორად აირჩიეს: მისი ხელფასიდან სტიპენდიის სახით გაცემულია 5000 ლარი; სწავლის ხელშეწყობის ფონდში რეპტორის ხელფასიდან გადარიცხულია 4010 ლარი; 13 ივლისის დაზარალებულთა დასახმარებლად რეპტორის ხელფასიდან გადარიცხულია 3000 ლარი; ხელმოკლე სტუდენტების სწავლის საფასურის გადასახდელად გაღებულია 4770 ლარი (5 სტუდენტზე). „საბოლოო ჯამში, ჩემი 32 თვის განმავლობაში, როგორც რეპტორმა, სტუდენტების დასახმარებლად გადავიხადე 17080 ლარი, ანუ ჩემ მიერ აღებული ხელფასის 16 %-ზე მეტი, ეს ყველაფერი დოკუმენტებით არის დადასტურებული“, — ბრძანა მან.

ლადო პაპავამ პრეზენტაციაზე ასევე ისაუბრა უნივერსიტეტის ოფიციალური სიმბოლიკის დამტკიცების პროცესზე, ეროვნულ გმირთა უკვდავოების კომისიის მუშაობაზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე — უნივერსიტეტის დამაარსებელთა: იოსებ ყიფშიძისა და ექვთიმე თაყაიშვილის, ასევე, პირველი კორპუსის ხუროთმოძღვრის, სვიმონ კლდიაშვილის ბიუსტების დადგმაზე პირველი კორპუსის ეზოში.

დასასრულ, მან აღნიშნა, რომ 8 თებერვალს, უნივერსიტეტის დაარსების დღეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაჯილდოვდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით, რომლის ტარების უფლებაც მოქმედ რეპტორს აქვს.



კითხვა-პასუხის რეჟიმი

პრესკონფერენციის ბოლოს დამსწრე აუდიტორიიდან რეპტორის მისამართით კითხვები დაისვა, რაზეც ლადო პაპავამ უპასუხა.

— იქნებ უფრო დეტალურად გვითხროთ, რა სახის ზენონა იყო გაზგასამართი სადგურის მშენებლობაზე და რატომ ვერ ჩაივლის რეპტორის არჩევნები მთავრობის ჩარევის გარეშე?

— ერთ კითხვაში ძალიან განსხვავებული თემებია. რაც შეეხება გაზგასამართ სადგურს, როდესაც ჩვენ მივმართეთ მთავრობის გარკვეულ წევრებს,

რომ დაგვხმარებოდნენ ამ საკითხის გადაწყვეტაში, პირიქით იმას გვიმტკიცებდნენ, რომ თურმე არაფერი მოხდება იმით, რომ გაზგასამართი სადგური იყოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ამიტომ ამაზე მეტის თქმას არ ვაპირებ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ ჩაივლის რეპტორის არჩევნები მთავრობის ჩარევის გარეშე, გეტყვი — უნივერსიტეტის ბედი დანტერესება არის საკმაოდ დიდი, ხოლო პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში — ძალიან დაბალი. დიდი იმედი მაქვს, რომ 2016 წლის არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდება. ეს ჩემი ოცნებაა და მინდა ასე იყოს, მაგრამ როცა ქვეყანაში არის დაბალი კულტურა, ნურაფერი გავიკვირდება. ამიტომ ვაკეთებ ამ დასკვნას.

— კონკრეტულად გვითხარით, რატომ დაინდოთ თქვენზე ზენონა?

— როდესაც უნივერსიტეტი ამბობდა, რომ გარკვეული პიროვნებების კანცლერად არჩევა შეუძლებელი იყო და ამის შესახებ ვანვდიდი ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს, სამწუხაროდ, ამას სერიოზულად არ აღიქვამდნენ. მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. როგორც იტყვიან, არც თქვენ, არც ჩვენ და, საბოლოო ჯამში, დაზარალებული ყველა. დაზარალება ქართული სახელმწიფოც, დაზარალება უნივერსიტეტიც. მინდა გითხრათ, რომ განათლების სამინისტროს გარდა ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი უწყება არსებობს.

— რომელ უწყებაზეა საუბარი?

— გავა წლები და ყველაფერს დეტალურად მოგვყვები.

— თქვენ დღეს ღიად ისაუბრებთ ბევრ საკითხზე...

— რაღაცებზე ვისაუბრებ. ძალიან ღიად მოგვიანებით ვისაუბრებ. კიდევ აღვნიშნავ, რომ საკითხების გადაწყვეტა არ არის მხოლოდ განათლების სამინისტროს კომპეტენცია.

— როცა საუბარია იმაზე, რომ უნივერსიტეტი მიმდინარე ბოლო პროცესები მართული იყო, როცა საუბარია უნივერსიტეტის ავტონომიაზე და იმაზე, რომ, „აუდიტორია 115“-ის ინფორმაციით, მათ რამდენიმე წევრზე ღია მუქარა ხორციელდება, რატომ იკავებთ თავს მეტი კონკრეტისგან?

— 6 წელი მინისტრი ვიყავი, 4 წელი — დეპუტატი, 10 წელი პოლიტიკური ცხოვრებით ვიცხოვრე, ამიტომ ვერაფერს მასწავლის, როდის რა ვთქვა, როცა და რასაც ჩავთვლი საჭიროდ, იმას ვიტყვი. ახლა ვამბობ სწორედ იმას, რაც საჭიროა. ხოლო ის, რომ სტუდენტებზე არის ზენონა, და თუ ეს მართლა ასეა, ეს არის კატასტროფა. ვიმედოვნებ, თუ ეს ფაქტები დადასტურდება, ამაზე შესაბამისი რეაგირება იქნება. ამ სტუდენტების განცხადებასთან დაკავშირებით მე ინფორმაცია არ გამაჩნია.

— აპირებთ ისევ პოლიტიკაში დაბრუნებას?

— არასდროს თქვა არასდროს. ეს ცნობილი ფორმულაა, მაგრამ ამ ეტაპზე ნამდვილად არ ვაპირებ. იმ დღიდან, როცა არ ვიქნები რეპტორი, დავრჩები უნივერსიტეტის პროფესორად. ჩემთვის ეს საამაყო თანამდებობაა. გავაგრძელებ საქმიანობას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, როგორც ერთ-ერთი რიგითი პროფესორი, მყავს საუკეთესო სტუდენტები, ვარ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, რითიც ვამაყობ. ასე რომ, საკმაოდ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი და არ ვარ ორიენტირებული პოლიტიკაში დაბრუნებაზე.

— თქვენ დეტალურად ისაუბრებთ და რამდენიმე უწყება დაასახელეთ, რომლებმაც თქვენ ბრალდებებზე არ გიპასუხათ. ჩვენ გვახსოვს თქვენი განცხადებები გაზგასამართ სადგურთან

დაკავშირებით. მაშინ ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვიციანი იყო. თუ გკონიათ ამასთან დაკავშირებით მოქმედ პრემიერთან საუბარი?

— ბატონი გიორგი კვიციანი ამ თემებში მაშინ ჩართული არ იყო. ამაზე მუშაობდა სულ სხვა ხალხი და მე მათთან მქონდა ურთიერთობა. გიორგი კვიციანი კვიციანი რა ურთიერთობაც მქონდა და რაც მან უნივერსიტეტს გადმოსცა, ეს გახლავთ ტაბახმელას ცნობილი კომპლექსი, ამის შესახებ პრეზენტაციაზეც ვთქვი.

— განათლების სამინისტრომ განაცხადა, რომ თქვენ მიერ გაკეთებული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება და რომ ადგილი, სადაც იგეგმებოდა გაზგასამართი სადგურის მშენებლობა, არ იყო უნივერსიტეტის ტერიტორია. მათ განცხადებამი წერია, რომ თქვენთვის ცნობილი იყო, რომ კონკრეტული ბიზნესის ლობირება ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხდებოდა.

— მითხარით, ბიზნესგარემო უნივერსიტეტის ხარჯზე უნდა გაუმჯობესდეს? ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე როგორ შეიძლება ვინმე წინააღმდეგი იყოს და, განსაკუთრებით, მე, ეკონომისტი. იმაზე, რომ გაზგასამართი სადგური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არ შენდებოდა, ჩვენ არ ვკამათობდით, ეს იყო მიმდებარე ტერიტორია და მაშინ ყველას ვეუბნებოდი: საზღვარგარეთ ხომ ხართ ნამყოფი, სადმე გინახავთ უნივერსიტეტის კორპუსის გვერდით გაზგასამართი სადგური? პასუხს ვერ ვიღებდი. ეს ტერიტორია არ იყო უნივერსიტეტის და, ბუნებრივია, ვერ ავუკრძალავდით, მაგრამ ეს იყო თხოვნა, რომ უნივერსიტეტის გვერდით ყოფილიყო ისეთი რამ, რაც მის საქმიანობას, სტატუსს შეესაბამება. მაღლობა მთავრობას და ქალაქის მერიას, რომ ბოლოს მიხვდნენ, რომ გაზგასამართი სადგური არ უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით.

— არ უნდა გაეკეთებინა რეპტორს განცხადება, რომ ყველა სტუდენტი არის მართული...

— ნურავინ მასწავლის, რა განცხადება უნდა გავაკეთო. რისი სურვილიც მაქვს, იმ განცხადებას გავაკეთებ. ნამდვილად არ გვგლისხმობ, რომ ყველა სტუდენტი იყო ამ დატვირთვის ქვეშ. დღესაც ვიმეორებ, ღმერთმა დამიფაროს, მე, პროფესორი, რეპტორი, ჩემს სტუდენტებზე ვფიქრობდე ცუდად, მაგრამ ვილაცამ ეს სტუდენტური მაქსიმალიზმი, საკითხებისადმი გულგლი დამოკიდებულება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. აი, ამაზე მაქვს საუბარი და არა იმაზე, რომ კონკრეტული სტუდენტი დავადასწავლო. რიგით პროფესორადაც რომ დავრჩები, სტუდენტების დახარისხება კარგებად და ცუდებად, გამორიცხული იქნება.

— წლების განმავლობაში პრემიები გაიცემოდა მხოლოდ ადმინისტრაციულ პერსონალზე. მაინტერესებს, რატომ არ გაიცემოდა ის აკადემიურ პერსონალზე? და კიდევ, მაინტერესებს რამდენი თანამშრომელი გყავდათ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში და ბიუჯეტიდან რამდენი იხარჯებოდა თქვენი პირადი აპარატის საქმიანობაზე... ასევე მაინტერესებს პასუხი „ოდეერებთან“ დაკავშირებით...

— ჩემი და ბატონ დავით ჩომახიძის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო, რომ პრემიების გაცემის ეს პრაქტიკა შეიცვალა. უფრო მეტიც, უკვე მეორე წელია, აკადემიურ პერსონალს წელიწადში 3-ჯერ მიეცა პრემია. ჩვენ თანხას ვაძლევდით ფაკულტეტს და ფაკულტეტი თვითონ წყვეტდა, რომელ პროფესორს რა რაოდენობით უნდა მიეცეს თანხა.

რაც შეეხება თანამშრომლებს, ჯამურად ეს არის 5 პიროვნება, რომლებსაც

სხვადასხვა სტატუსი აქვთ. ამის გარდა, უნივერსიტეტში არსებობს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონით განსაზღვრულია. საბჭო შედგება 10 პიროვნებისგან, ეს არის აკადემიური საბჭოს მიერ დებულებით დამტკიცებული. ამ 10 წევრიდან 7 არის ემერიტუს-პროფესორი, 3 — გარედან მონვეული. საბჭო წელიწადში 2-3-ჯერ იკრიბება და განიხილავს მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემებს. თუმცა დამოუკიდებელი რეჟიმში ჩვენს დამსახურებულ პროფესორებს ყოველთვის ჰქონდათ რეპტორთან კომუნიკაციის საშუალება.

„ოდეერის“ თემა მნიშვნელოვანია, ჩვენ გვაქვს მახინჯი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ, თუ ვინმე მინისტრი იყო, ეს უკვე დანაშაულია. თუ ვინმე უშიშროების სამსახურში მუშაობდა, დანაშაულია. ეს არის ავადმყოფური მენტალიტეტის შედეგი. დანაშაულია, თუ იგი იყო ცუდი მინისტრი და ქვეყანა დაანგრია, თუ უშიშროების თანამშრომელი იყო და ქვეყანას უღალატა. შეიძლება, შენი სამშობლო გძულდეს? ან გძულდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ სახელმწიფოს ემსახურებიან? დამოკიდებულება მათ მიმართ უნდა იყოს ჯანსაღი. შეგახსენებთ მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას გამოსვლას პარლამენტში, სადაც მან უნივერსიტეტი არსებულ ამ პრობლემაზეც ისაუბრა. ეს იყო პოლიტიკური განცხადება. ის, ვინც უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები იყვნენ, დაწერეს განცხადებები და წავიდნენ. დღეს ისინი არ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველამ დაწერა განცხადება და ყველა წავიდა. უფრო მეტს გეტყვი, არიან ისეთი თანამშრომლები, რომლებიც სულაც არ არის საჭირო, საჯაროდ იყოს ცნობილი და ჰქონდეთ საჯარო ფუნქცია. მათ შესახებ ინფორმაცია არც მე გამაჩნია და არც არავის. მაგრამ ერთი რამ ვიცი დედა, თუ ადამიანი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას, წერს განცხადებას და მიდის, მას უშიშროებასთან რაიმე ვალდებულება არ აქვს.

— თქვენი აზრით, სტუდენტური თვითმმართველობა არის თუ არა მართული?

— სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ბრალდებად მიყენებთ ჩემს დამოკიდებულებას სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ, რომელიც დავაფიქსირე 2013 წელს, რეპტორად არჩევის პირველ დღეებში. დიახ, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ საუბარი იყო იმ სტუდენტურ თვითმმართველობაზე, რომლის დროსაც სტუდენტებზე ზენონა ხორციელდებოდა. შემდეგი ჩემი დამოკიდებულება სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ უკვე კარგად მოგხსენებთ. ყოველთვის პოზიტიურად აღვნიშნავდი, რომ 2014 წელს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში, მშვიდად, წყნარ ვითარებაში ჩატარდა. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რაც შეეხება შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, გულწრფელად გეუბნებით, დღემდე ვერ ვხსნი ოქტომბრის მოვლენებს, ხოლო, რაც მოხდა შემდეგ, მარტში, ეს იყო ოქტომბრის სცენარის გაგრძელება. ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ, თქვენს გულწრფელობაში, მაქსიმალიზმი და უნივერსიტეტის სიყვარულში ვინმე შეგვიჯიბრებთ, მაგრამ დღეს ფაქტები ლაგდება. როდესაც ვამბობ, რომ ყველაფერზე კომენტარს არ გვაკეთებ, იცით რატომ? რადგანაც ბოლომდე მეც არ ვარ დარწმუნებული და პასუხები არ მაქვს. ეს პასუხები ჩემთვის თანდათან უფრო ნათელი გახდება და ამის შესახებ მომავალში უფრო დეტალურადაც ვიტყვი.

მომზადდა მაია ტორაძემ

მეცნიერების „ამუშავება“ უნივერსიტეტში გამორიცხავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თსუ-ში სტაბილიზაციაა

მეექვსე გვერდიდან

— ექსპორტის დაბალ კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესის ახალ საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების სირთულის დაძლევის მიზნით, ხომ არ დააკონკრეტებთ კვლევის მიზნიდან გამომდინარე ამოცანებს?

— პროექტის ავტორებმა მიზნად დავისახეთ საქართველოს ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კომპლექსური ანალიზი და შეფასება, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენებით ქვეყნის საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა და ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად დავისახეთ ამოცანათა ფართო წრე, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსის, სტრუქტურის და ძირითადი კომპონენტების გამოკვლევა; ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი ინდიკატორების ანალიზი და შეფასება; ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე ინოვაციებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გავლენის გამოკვლევა; ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის განსაზღვრა; საგარეო ვაჭრობის ზრდაზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების გავლენის გამოკვლევა; ბუნებრივი რესურსების და გეოპოლიტიკური გარემოს როგორც ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი; მწვანე ეკონომიკის ადგილის განსაზღვრა ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოში; ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს განვითარების, ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

— რა ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა კვლევის პროცესში და საერთოდ რა შედეგები მიიღეთ?

— კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო, ბიზნესგარემოს სხვა კომპონენტებთან (ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა) შედარებით ნაკლებად გამოკვლეული სფეროა, როგორც გლობალურ დონეზე, ისე ცალკეული ქვეყნების ჩრდილოეთისა და სამხრეთის, კიდევ უფრო აქტიური ხდება. საქართველო ავითარებს მრავალმხრივ ურთიერთობებს მსოფლიო ინტეგრაციისკენ და ამ პროცესებში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ქვეყანას გააჩნია ეკონომიკური აღმავლობისა და სწრაფად ზრდის დიდი შესაძლებლობები, მთავარია, გეოპოლიტიკურ მთავარეხმავად შორის გონივრული ლავირებით აუაროს გვერდი საფრთხეებს და საერთაშორისო თანამეგობრობას შესთავაზოს თანასწორუფლებიან პარტნიორობაზე დაფუძნებული და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პროექტები.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვან წყაროს. ყველაზე საყურადღებო რესურსია მინისქვეშა მინერალური წყლები, ტყეები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ლითონები და იშვიათი ლითონები, საერთაშორისო მნიშვნელობის ამ რესურსებს ემატება ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსები: საიუველირო და სანაკეთო წარმოების და მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსები და სხვა.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატეგია, რომელიც ასევე აისახება პრაქტიკაში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის საერთაშორისო



პრეზენტაციის
ლევან საბაშური

ობს ხელს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხასიათდება განვითარების დაბალი ტემპებით, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებით, მაღალტექნოლოგიური საქონლის დაბალი წილით, დივერსიფიკაციის დაბალი დონით, უარყოფითი სავაჭრო ბალანსით და სხვა ნეგატიური ფაქტორებით, რომლებიც მის დაბალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

ექსპორტის ზრდისთვის აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის პროგრესული დივერსიფიკაცია: მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს დამატებული ღირებულების მაღალი წილის მქონე დარგებისა და წარმოებების განვითარებაზე. ამასთან, მაღალი დამატებული ღირებულების საქონლის ექსპორტის ზრდა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი საქონლის ექსპორტით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომსახურებითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობას, სანაყის ეტაპზე — ტექნოლოგიების იმპორტს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების ზრდას.

გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს გეოეკონომიკური როლი, როგორც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი სატრანზიტო არტერია დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, კიდევ უფრო აქტიური ხდება. საქართველო ავითარებს მრავალმხრივ ურთიერთობებს მსოფლიო ინტეგრაციისკენ და ამ პროცესებში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ქვეყანას გააჩნია ეკონომიკური აღმავლობისა და სწრაფად ზრდის დიდი შესაძლებლობები, მთავარია, გეოპოლიტიკურ მთავარეხმავად შორის გონივრული ლავირებით აუაროს გვერდი საფრთხეებს და საერთაშორისო თანამეგობრობას შესთავაზოს თანასწორუფლებიან პარტნიორობაზე დაფუძნებული და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პროექტები.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვან წყაროს. ყველაზე საყურადღებო რესურსია მინისქვეშა მინერალური წყლები, ტყეები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ლითონები და იშვიათი ლითონები, საერთაშორისო მნიშვნელობის ამ რესურსებს ემატება ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსები: საიუველირო და სანაკეთო წარმოების და მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსები და სხვა.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატეგია, რომელიც ასევე აისახება პრაქტიკაში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის საერთაშორისო

ალიარებული მიღწევები.

— ხომ არ აპირებთ თქვენ მიერ მიღებული შედეგების გამოქვეყნებას ამ პრობლემატიკით დაინტერესებული აუდიტორიისთვის?

— კვლევის შედეგად გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს თანამედროვე მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეები, ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და პირობები, დამდგარი და მოსალოდნელი საფრთხეები, შემუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის გაზრდას და პრაქტიკაში მათ დანერგვას, სამეცნიერო ნრევებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარებას, ბიზნესის კრეატიულობის დონის ამაღლებას, საქსპორტის პროდუქტის დივერსიფიკაციას, ქართული კომპანიების ახალ ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრებას.

კვლევის შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია თბილისში, ბრატისლავაში, უკრაინაში. კვლევის ნაწილი, სტატიების სახით, წარდგენილია ვარშავისა და ვილინიუსის უნივერსიტეტების ყურნალებში გამოსაცემად. მომავალში გათვალისწინებულია კვლევის შედეგების მონოგრაფიის (უნდა ითარგმნოს და გამოიცეს ინგლისურ ენაზე) და ლექციების კურსის ფორმით გამოცემა, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და მშხმარე ლიტერატურის სახით.

**შპს „თბილისის სატრანსპორტო
საწარმო“ ფინანსური
მდგომარეობის გაუმჯობესების
რეზერვები**

**გვესაუბრება პროექტის
ხელმძღვანელი, პროფესორი
ელენა ხარაბაძე
(ბულალტრული აღრიცხვისა
და აუდიტის კათედრა)**

— ქალბატონო ელენე, რა თემაზე იყო თქვენი პროექტი და ვინ იყვნენ ჩართულები?

— თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი იყო ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის მიერ წარდგენილი პროექტი თემაზე — შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმო“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები“. აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი მე გახლდით. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა კათედრის 4 ასოცირებული პროფესორი: ლევან საბაშური, ნადეჟდა კვატაშიძე, ნანა სრეცელი და მერაბ ჯიქია. პროექტში ასევე აქტიურად ჩართულები იყვნენ კათედრის დოქტორანტები: რუსუდან სრეცელი, ნინო ჩაფლეშვილი, ნანა ხინჭლაშვილი და იოსებ მამუკელაშვილი.

— რომელ სფეროს მოიცავდა პროექტი და რა გარემოებებმა განაპირობა მისი განხორციელების აუცილებლობა?

— ნებისმიერი საწარმოსა და ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ეფექტიანობის და, ზოგადად, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ გამომდინარეობს შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლის ზრდაში.

ფინანსური მდგომარეობა საწარმოს ეფექტიანი საქმიანობისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. ფინანსური მდგომარეობის პირობებში საწარმოს შეუძლია შექმნას და დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები, აამალოს პროდუქციის ხარისხი, გააუმჯობესოს ფასწარმოქმნის პოლიტიკა, უზრუნველყოს თვითღირებულების შემცირება, გაზარდოს შრომის ანაზღაურება. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა მისი გადახდისუნარიანობის ნათელ სურათს. საწარმოს ხარჯების მართვაში თანამედროვე მიდგომების გამოყენება წარმოადგენს მისი ეფექტიანობის ზრდის წინაპირობას. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვის, კოორდინაციის, ორგანიზაციისა და მოტივაციის სწორ რეალიზებას. საწარმოს გამართული და შეუფერხებელი მუშაობა მოითხოვს პრობლემებზე ორიენტირებული და დაგეგმვის, აღრიცხვის, კონტროლისა და ანალიზის სისტემების შექმნასა და ფუნქციონირებას. სამეურნეო სუბიექტების მიმდინარე და მოსალოდნელი მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ხარჯების მართვის ახალი არატრადიციული სისტემების დანერგვა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენებაზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს მყარ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, ხარჯების ოპტიმიზაციის მეთოდებისა და მოდელების შემუშავებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას. სწორედ აღნიშნული საკითხების კვლევისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე იყო ორიენტირებული უკვე განხორციელებული პროექტის მიზანი. პროექტი განხორციელდა ქ. თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზაზე.

— კვლევის პროცესის შედეგად რა დასკვნამდე მიხვედით და ხომ არ შეიმუშავეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდი ან მოდელი?

— საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ზოგადი გაცნობის შედეგად გამოვლინდა მისი ფინანსური შედეგების უარყოფითი მაჩვენებლები, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალაქის ბიუჯეტზე. კვლევის დროს სწორედ ამ კუთხით იყო ყურადღება გამახვილებული, რათა, რაც შეიძლება მინიმუმამდე მოხდეს იმ რისკებისა და ფაქტორების გავლენა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიზანს წარმოადგენდა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების, მისი დინამიკის, ფინანსური მდგომარეობის შეფასება. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეშვეობით განხორციელდა საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენა, კაპიტალის ინვესტირების მიმართულების შერჩევა.

სატრანსპორტო საწარმოს ფუნქციონირების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვია დანახარჯების მართვის კომპლექსური მოდელირება და მეთოდების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოს მიერ დასმული ამოცანების ანალიზის, მოდელირების, ოპტიმიზაციისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც მთლიანობაში წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებას.



მეცნიერების „ამუშავება“ უნივერსიტეტში გამორიცხავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თსუ-ში სტაბილიზაციაა

მეთერთმეტე გვერდიდან

— თქვენი აზრით, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ძირითადი შედეგების გათვალისწინებით რა არის შესაძლებელი?

— ჩვენი კვლევის შედეგები წარმოდგენილია 274 ნაბეჭდ გვერდზე, რომელიც წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო ნაშრომს. კვლევის ძირითადი შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება:

- სატრანსპორტო სანარმოს არსებული ფინანსური მდგომარეობის დახასიათება სისტემური მიდგომით და დანახარჯების მართვის პრობლემებზე ორიენტირებული სისტემის შექმნა მეთოდოლოგიური პრინციპებისა და სანარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სატრანსპორტო სანარმოს დანახარჯების მართვის მექანიზმის შემუშავება ერთიანი ბაზებისა და ეკონომიკური მოდელების გამოყენებით;
- ფინანსური მოდელების შემუშავებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მართვა სატრანსპორტო სანარმოსში;
- პოტენციური რისკების მატარებელი გადახრების განსაზღვრა;
- სანარმოს განვითარების ფინანსური გეგმების ფორმირება;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება;
- სანარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება;
- კაპიტალის სტრუქტურის მართვა. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საკმაოდ დიდი სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების მეთოდებზე არის დეტალურად საუბარი კვლევით პროექტში.

— თუ შეიძლება გამოყავით პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

— აღსანიშნავია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა პროექტის განხორციელების პროცესში. მათი მხრიდან იყო მაქსიმალური გვერდში დგომა, რათა პროექტი განხორციელებულიყო წარმატებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებას, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შესყიდვების კუთხით, ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, რაც შესაძლებელია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ამგვარი პროექტები პირველად ხორციელდებოდა უნივერსიტეტში.

რაც შეეხება თვითონ კვლევითი პროექტების ფაკულტეტებზე განხორციელების ტრადიციად დამკვიდრებას, მისასაღებელია. ჩვენი პროექტის განხორციელებით ეს იყო ქვეყნის მასშტაბით პირველი მცდელობა, რომელიც მიმართული იყო შერეული დაფინანსების ტიპის სანარმოს ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის შეფასების, კვლევის, ანალიზისა და მისი გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების პაკეტის შემუშავებისკენ. კვლევითი პროექტების განხორციელება წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის გაღრმავებისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე სტაბილური წარმატების მიღწევისთვის.

კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზაციული სისტემების შემუშავება და დანერგვა

გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი — დემურ სიჭინავა (კათედრა: ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიები)

— ბატონო დემურ, რამდენი მკვლევარი იყო თქვენს პროექტში ჩართული?

— ჩვენი პროექტის მონაწილეები იყვნენ: ემერიტუსი მურთაზ მალრადე, ასოცირებული პროფესორი ენვერ ლავილავა, ასისტენტ-პროფესორები: რუსუდან სეთურიძე, თინა მელქოშვილი, დოქტორანტი სოფო გელაშვილი, მაგისტრანტი დავით ნიკლაური.

— ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მნიშვნელოვანია ნებისმიერ სფეროში და მით უფრო საგანმანათლებლო სტრუქტურაში, საინტერესოა თქვენი კვლევის ობიექტი?

— აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მიეკუთვნება უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის ამოცანათა კომპლექსს, რომლის მიზანია აღნიშნული სასწავლებლების მართვის სრულყოფა. აღსანიშნავია, რომ პროექტის შემუშავებისას ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გვექონდა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

სამეცნიერო-კვლევითი თემა შედგება სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან: კათედრის მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი კათედრის სასწავლო დისციპლინებისა და პედაგოგების მიხედვით; უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ თანამდებობებზე აპლიკანტების შეფასების სისტემის სრულყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვლევითი პროექტის პირველი ნაწილი მოიცავს ისეთ ამოცანებს, როგორცაა: კათედრის ძირითადი და მონვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონაცემთა ბაზის შემუშავება; კათედრის მოდულის სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები) აქტივობისა და პერსონალური ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ფორმირება; კათედრის მოდულის სასწავლო გეგმისა და სასწავლო დისციპლინების სილაბუსების მონაცემთა ბაზის შემუშავება; კათედრაზე შემოსული კორესპონდენციების (ბრძანებები, განკარგულებები და სხვ.) აღრიცხვა და შესრულების კონტროლის ბაზის ფორმირება; კათედრიდან გასული კორესპონდენციების აღრიცხვის მონაცემთა ბაზის შემუშავება; კათედრის აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნების აღრიცხვა და კონტროლი და სხვ.

კვლევითი პროექტის მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ამოცანებზე: შუალედური და ფინალური გამოცდების სტატისტიკური ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზისთვის საჭირო საშუალო ფორმების შემუშავება და სხვ.

კვლევითი პროექტის მესამე ნაწილის ამოცანებია: კონკურსანტის აქტივობის გამოსახვა ქულაში; კოლექტური



დემურ სიჭინავა

ნესით შესრულებული სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ პროდუქტებში თითოეული ავტორის წვლილის განსაზღვრა; კომპიუტერული ნესით კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა და სხვ.

— როგორც თქვენთან საუბარში ირკვევა, პროექტი სამი დამოუკიდებელი კვლევის ობიექტს მოიცავდა. საინტერესოა რა შედეგები მიიღეთ თითოეულ ნაწილში დამოუკიდებლად?

— პირველ ნაწილში მივიღეთ კათედრის ავტომატიზებული მართვისთვის საჭირო მონაცემთა ბაზა მართვის სისტემის Access-ის გარემოში, რომლის საფუძველზეც კათედრის ხელმძღვანელს შეუძლია მიიღოს: კათედრის ძირითადი და მონვეული პედაგოგების სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ანკეტური მონაცემები; ყველა სახის ინფორმაცია კათედრის მოდულის სტუდენტების შესახებ (აქტივობა, საანკეტო მონაცემები, მონაცემები კურსდამთავრებულთა შესახებ, აკადემიური მოსწრება და სხვ.); ინფორმაცია კათედრაზე უნივერსიტეტის სტრუქტურული განყოფილებებიდან შემოსული განკარგულებების აღრიცხვისა და მათი შესრულების კონტროლის შესახებ; ასევე ინფორმაცია აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნების შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის შესახებ და კათედრის მოდულის სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების თაობაზე.

ზემოთ ხსენებული კათედრის მართვის ავტომატიზებული სისტემა ღიაა, რაც მისი გაფართოების საშუალებას იძლევა.

მეორე ნაწილში შემუშავებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზის მოდული, რომელიც ჩაშენებულია კომპიუტერული ტესტური გამოცდების კლიენტ-სერვერულ სისტემა თლ-ში. მისი გამოყენებით შესაძლებელია მივიღოთ: პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების წილში გამოცდების სტატისტიკური ანალიზი; ინფორმაცია პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით გამოცდაზე არგამოცხადებულ და ჩაჭრილ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ; ინფორმაცია პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ; ინფორმაცია აკადემიური მოსწრების საშუალო ქულის შესახებ პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

აღნიშნული მონაცემების ანალიზი კათედრისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს — სრულყოფის სასწავლო პროცესი. მოცემული ანალიზის შედეგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ ცხრილების სახით და გადაიგზავნოს ფაკულტეტის მონაცემთა ბაზაში.

კვლევითი პროექტის მესამე ნაწილის შედეგების დანერგვას შეუძლია უზრუნ-

ველყოს: კონკურსების ჩატარების გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ობიექტურობის ამაღლება; კონკურსის ყველა მონაწილისთვის თანაბარი პირობების შექმნა; კონკურსანტების სამეცნიერო-პედაგოგიური და სხვადასხვა აქტივობების შეფასება ქულებით; კოლექტიურად შესრულებულ ნაშრომებში თითოეული ავტორის წვლილის განსაზღვრა; კომპიუტერის საშუალებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა; კონკურსში გამარჯვებულის კენჭისყრით გამოვლენის პროცესის თავიდან აცილება; საჩივრებისა და კონკურსების ჩატარების ვადების შემცირება.

კონკურსების ჩატარების აღნიშნული სისტემა ღია და ქსელურია.

— რა ძირითადი ტენდენციები გამოიხატა კვლევის პროცესში?

— პროექტის ფარგლებში კათედრის მართვის ყველა ამოცანისთვის აუცილებელია მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირება და ამ ბაზის ფაკულტეტის მონაცემთა ბაზასთან ინტეგრირება, რაც საბოლოოდ გამოიწვევს როგორც კათედრის, ასევე ფაკულტეტის მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაციას, ინფორმაციის დუბლირების მინიმუმამდე შემცირებას და სხვ. ამასთან დაკავშირებით კომპიუტერული ტესტური გამოცდების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით დაისვა საკითხი: დისციპლინების მიხედვით შემუშავებული ტესტები საგამოცდო ტესტების მონაცემთა ბაზაში ტესტების შემდგენელმა პედაგოგებმა ავტორთონ ინტერნეტის საშუალებით; უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური პერსონალის კონკურსების ჩატარებისას კონკურსის მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგების ამსახველი ინფორმაცია განთავსდეს ინტერნეტში; განისაზღვროს მომხმარებლის კატეგორიიდან გამომდინარე კონკურსის მასალებთან წვდომის უფლებები და სხვ.

— ამგვარი პროექტი პირველად სრულდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე ცალკეულ ფაკულტეტებში, პროექტის განხორციელებისას რაიმე დაბრკოლება ხომ არ გქონიათ?

— პირველად, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ახლებური ვარიანტის შემოღებასა და დანერგვაში განსაკუთრებით დიდია უნივერსიტეტის რექტორატისა და აკადემიური საბჭოს ძალისხმევა და დამსახურება. აღნიშნული პროექტების დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აკადემიური საბჭოს წევრს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან პროფესორ ქეთევან მარშავას.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პირადად დეკანი, ბატონი თეიმურაზ ბერიძე კვლევითი პროექტის შერჩევის მომენტებიდან პროექტზე მუშაობის დამთავრებამდე ყოველმხრივ გვიწევდა დახმარებას. ეს დახმარება და თანადგომა პირველ რიგში გამოიხატა ტექნიკური ბაზითა და მასალებით კვლევითი პროექტის დროულ უზრუნველყოფაში, ორგანიზაციული საკითხების დროულ მოგვარებაში და სხვ.

სპეციალურად აღსანიშნავია სამეცნიერო დარგში დეკანის მოადგილის — ქალბატონ ნინო ფარესაშვილის თანადგომა და მხარდაჭერა. იგი სისტემურად ადევნებდა თვალყურს და აკონტროლებდა თითოეული კვლევითი პროექტის შესრულების მიმდინარეობას, პროექტის შემუშავების დადგენილი ეტაპების შესრულებას, დაგეგმილი სამუშაოების შესახებ შუალედური ანგარიშების წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის და სხვ.

**მასალა მოამზადეს
მაია ტორაძემ,
ინფო უარისაშვილმა**

ფაკულტეტი და ფინანსებული კვლევები

2016 წლის 25 თებერვალს თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტმა, ივ. ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებათა ციკლის ფარგლებში, ერთი წლის საანგარიშო კონფერენცია გამართა. კონფერენციაზე, ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშებთან ერთად, წარმოდგენილი იყო 2015 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებიც.

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ოთხი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 70 448.5 ლარს. პროექტთა განხორციელებაში მონაწილეობდა: რვა აკადემიური პერსონალი, ხუთი დოქტორანტი, რვა მაგისტრანტი და ორი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი. ოთხივე სამეცნიერო-კვლევითი პროექტი წარმატებით განხორციელდა.

2016 წლისათვის, განხორციელებული კვლევების საფუძველზე, მზადდება პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.

ემიგრაცია და დაბრუნება სამოქალაქო: მიგრანტების რეინტეგრაცია, იდენტობა და ოჯახთან ადაპტაციის პრობლემები

პროექტში ჩართული იყვნენ: მაია მესტივიშვილი (ასოც. პროფესორი); მარიამ გოგიჩაიშვილი (მაგისტრანტი); თამარ ჯანაშვილი (მაგისტრანტი); მაია გოგოლაძე (მაგისტრანტი);

კვლევა მიზნად ისახავდა მიგრანტების შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებას სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების ნარატივების ანალიზის საშუალებით. კერძოდ, მიგრანტების ფსიქოსოციალური ადაპტაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ ამ პერსპექტივით მიგრაციის შედეგების კვლევა პირველ მცდელობას წარმოადგენს საქართველოში.

კვლევის შედეგად განისაზღვრა: 1) მიგრაციის შედეგი და მისი გავლენა ოჯახის დინამიკაზე (ფსიქოსოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე); 2) დაბრუნებულ მიგრანტთა იდენტობის შესაძლო ცვლილებები და ამ ცვლილებებთან დაკავშირებული სიძნელეები; 3) აკულტურაციის სტრესის გავლენა და კარგად ყოფნის განცდის მიღწევის გზები; 4) დაბრუნებულ მიგრანტთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესის ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფსიქოსოციალური ფაქტორები.

პოსტრავმული ზრდა კავშირებსა და მოზარდებში: პიროვნული ფაქტორების, ადაპტაციისა და სოციალური მხარდაჭერის როლი

კვლევაში ჩართულნი იყვნენ: მარინე ჩიტაშვილი (პროფესორი); ხათუნა მარ-



წყვიშვილი (ასისტენტ-პროფესორი); მარიამ ფანჯიკიძე (დოქტორანტი); მაია გოგოლაძე (მაგისტრანტი); ნათია სორდია (მაგისტრანტი); ნინო აბულაძე (მაგისტრანტი); ქეთი ქიმოსტელი (მაგისტრანტი).

კვლევა მიზნად ისახავდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად იძულებით ადგილნაცვალ ბავშვებსა და მოზარდებში ტრავმის შემდგომი პოზიტიური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის მექანიზმების შესწავლას. კერძოდ, იმის კვლევას, თუ როგორ ასრულებს პიროვნული ნიშნები, სოციალური მხარდაჭერა პოსტტრავმულ ზრდასა და პოზიტიურ ადაპტაციაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 1) ინდივიდის პიროვნულ ნიშნებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის არსებობს კავშირი; 2) პოზიტიური ადაპტაციის მახასიათებლები კავშირშია პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებთან; 3) სოციალური მხარდაჭერის მაღალი მაჩვენებლები პოზიტიურ კავშირშია პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებთან; 4) შემომდმა ჰიპოთეტურ მედიაციური მოდელი პიროვნულ მახასიათებლებს, სოციალურ მხარდაჭერასა და პოსტტრავმულ ზრდას შორის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მოზარდებსა და ბავშვებში პოსტტრავმული ზრდის ფენომენის გამოვლენის თავისებურებებისა და მექანიზმების შესახებ.

თვითსტიგმატიზაციის ფენომენი ავილფსიის მქონე მოზარდებში

კვლევაში ჩართულნი იყვნენ: ლალი სურმანიძე (პროფესორი); მაია მაჭავარიანი-წერეთელი (დოქტორანტი); მარიამ ყვავაძე (ბაკალავრიატის სტუდენტი); ნათია გაბედავა (ბაკალავრიატის სტუდენტი).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეპილექსიის მქონე მოზარდებთან თვითსტიგმატიზაციის ფენომენის სპეციფიკის შესწავლა და, ამ მიზნით, თვითსტიგმატიზაციის სუბიექტური სურათის გამოვლენა და აღწერა, ეპილექსიის აღქმის კულტურული კონტექსტის თავისებურებების ანალიზი, დეპრესიის ხარისხის დადგენა და გენდერული სხვაობების გამოვლენა, აგრეთვე თვითსტიგმატიზაციაზე გულყრების გავლენის შესწავლა.

კვლევა ჩატარდა ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტის გამოყენებით, რამაც ეპილექსიის მქონე მოზარდთა სუბიექტური სემანტიკური ველის რეკონ-

სტრუირების შესაძლებლობა შექმნა. მოცემული კვლევა პირველი ნაბიჯია სტიგმის გასაზომი ინსტრუმენტის შესაქმნელად.

ჩატარებული კვლევით მოპოვებული მონაცემების საფუძველზე პროექტის მონაწილე დოქტორანტი მაია მაჭავარიანი-წერეთელი მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდა ფრაიბურგის საერთაშორისო მულტი-დისციპლინურ კონფერენციაზე (Freiburg Conference: DE5C47). მოხსენების სათაურია: „Psycho-Semantic analysis of Psychosocial Issues in Georgian Adolescents with Epilepsy“.

მასწავლებელთა საინფორმაციო მომზადების ინტეგრირებული 300-კრედიტიანი პროგრამის კვადაგოგიური მოდულების (კვადაგოგიური დისციპლინები, კვადაგოგიური პრაქტიკა, კვლევითი ნაწილი) შეფუთვა VII – XII კლასების მასწავლებელი/

კვლევაში ჩართულნი იყვნენ: ქეთევან ჭყუასელი (პროფესორი); რუსუდან სანაძე (ასოცირებული პროფესორი); ეფემია ხარაძე (ასისტენტ-პროფესორი); ნინო ჩახუნაშვილი (ასისტენტ-პროფესორი); თინათინ დოლიძე (დოქტორანტი); მარინე გოგენლაშვილი (დოქტორანტი); ქეთევან ფანცულაია (დოქტორანტი); თამარ ბედენაშვილი (მაგისტრანტი).

კვლევა მიზნად ისახავდა მასწავლებელთა მომზადების ევროპული გამოცდილების შესწავლას, ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისი ნარმატიული საერთაშორისო პრაქტიკის იდენტიფიცირებასა და მისი თავსებადობის კვლევას არსებულ ქართულ რეალობასთან.

პროექტის განხორციელების შედეგად მზადდება მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო / სამაგისტრო) 300-კრედიტიანი პროგრამის „კვადაგოგიური დისციპლინების 60-კრედიტიანი“ და „სასკოლო პრაქტიკის და კვლევის 60-კრედიტიანი“ ახალი მოდულების სტრუქტურები, რომლებშიც, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნება ის დისციპლინები, რომლებიც თავსებადია ქართულ კანონმდებლობასა და მასწავლებლის საჭიროებებთან.

მომზადებულია თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ



ქეთევან ჭყუასელი



ლალი სურმანიძე



ხათუნა მარანდაშვილი



მაია მესტივიშვილი



განხილვა უნივერსიტეტი გამოიწვია იმან, რომ ვერ შევქალით ერთმანეთის მოსმენა

ოს, რაც დღეს განათლების სისტემაში ხდება, არ არის უბრალო, დროებითი კრიზისი. ეს არის განათლების სისტემის „ახალ რეალობასთან“ შეგუების რთული და წინააღმდეგობით სავსე პროცესი. ამკარაა, რომ მთელი ეს სისტემა უნდა შეიცვალოს დროის მოთხოვნების შესაბამისად და იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ სოციალური დღეისათვის არსებულ დინამიკაზე, არამედ იმ ცვლილებებზეც, რაც მოსალოდნელია მომავალში.

ასეთ რეფორმებს განათლების სისტემაში სჭირდება პროგრამა და ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია უნივერსიტეტი, შეძლებისდაგვარად მონაწილეობა უნდა მიიღოს მის შემუშავებაში. მხოლოდ აკადემიური თავისუფლება და პარიტეტულ სანქციებზე სტრუქტურა და პედაგოგთა შეხვედრები გავიკვლევინებ გზას ამ მიმართულებით და შეგვძლებინებენ წარმართოთ ეს პროცესი არააგრესიულ, კულტურულ და კრეატიულ ფორმატში.

კაცობრიობა შევიდა ახალ ეპოქაში, ანუ შეიცვალა სამყაროსთან ადამიანის მიმართების ყველა ფორმა: შემეცნებითი, ემოციური, რელიგიური... ყალიბდება ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა და დრო ითხოვს მოაზროვნის ახალ ტიპს: გამთლიანებული, ინტეგრირებული ცნობიერებით. მან უნდა შეძლოს დაინახოს მოვლენებში მთავარი, დაიჭიროს მათში არსებითი და შეაფასოს კონკრეტულში მიმდინარე ცვლილებები ყოველთვის მთელის გათვალისწინებით.

ჩვენს ინფორმაციულ საზოგადოებაში უკიდურესად იზრდება ადამიანის ფაქტორის როლი. პროგრესი — ეს არის ინდივიდუალური აქტივობა, თანაც ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში; მაგრამ არსებობს სოციალური მიკრო და მაკრო იმპერატივები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურას და აგრძნობინებენ ინდივიდს, რომ იგი, როგორც საზოგადოების წევრი, ვერასოდეს იქნება აბსოლუტურად თავისუფალი, ე.ი. ყველა უნდა შეეგუოს თავის სოციალურ მდგომარეობას და იცხოვროს სოციალური შეზღუდვებისა და ინფორმაციის, რასაც ადგენს სახელმწიფო და რაც განაპირობებს საზოგადოების ცივილიზებულ არსებობას. „იქონიე ვაჟაკობა იარსებო მთელში“, — წერდა გოეთე; ფან-ფან რუსოსთან კი ვკითხულობთ: „მართალია, ადამიანი დაბადებულია თავისუფალ არსებად, მაგრამ ყველგან და ყოველთვის მას ადევს ბორკილები“. ეს ბორკილები და ძალის გამოყენების ლეგიტიმურობა იცავს სწორედ სახელმწიფოს იმისაგან, რომ მას, მტერზე მეტად, არ მიაყენოს ზიანი საკუთარმა მოქალაქემ.

ინდივიდის ჩართვა ახალ კულტურაში რთული და მტკივნეული პროცესია, მაგრამ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი პიროვნების, როგორც ავტონომიური სუბიექტის, მოტივაციური სფეროს ტრანსფორმირება. თანაც ყოველთვის, როდესაც ინდივიდის კულტურული სფერო ვერ ეგუება და კონფლიქტში მოდის სოციალურ რეალობასთან, ანუ როდესაც ადამიანი ვერ პოულობს თავის ადგილს ახალ რეალობაში, ეს თრგუნავს ინდივიდს, ახშობს მის შესაძლებლობებს და ბლოკავს მისი, როგორც პიროვნების სოციალურ მოტივაციურობას. ეს საკითხი განათლების სისტემის სერიოზული პრობლემაა და ასეთ ვითარებაში სტრუქტურული სრული უფლება აქვთ მოითხოვონ უნივერსიტეტისგან დროის შესაბამისი განათლება, მით უმეტეს, რომ ისინი საკმაოდ დიდ თანხას იხდიან სწავლაში.

სამწუხაროდ, უნდა ვღიაროთ, რომ ყველა ფაქტობრივად დაეცა სწავლების ხარისხი და სტრუქტურა სამართლიანად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მათ მიერ მიღებული ცოდნა ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს. არა და თავის დროზე უნივერსიტეტი საკმაოდ მაღალი დონის კადრებს ამზადებდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა ქმნიდა მაშინ ამის საფუძველს და რა გავაკეთეთ ჩვენ რეფორმების დროს ისეთი, რაც არ უნდა გავაკეთებინა? მან რისი ვაკეთებდა შეიძლება დღეს, რათა მდგომარეობა ამ სფეროში გამოსწორდეს? ამაზე, ალბათ, უნდა იფიქროს ყველა ფაქტობრივად და უნდა მოუხსინოთ ყველას, ვისაც ექნება მოსაზრება ამის თაობაზე. ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი



გილდა სინარულიძე

ლია ძლიერი დინამიზმი; ამიტომაც დიდი პრობლემაა დაინახო დღეს მოვლენები მათ მოძრაობასა და ცვალებადობაში. ძნელია დაიჭიროს მათში ძირითადი და ამ დროს ხელი არ შეგიშალოს არც ინფორმაციის ნაკლებობამ და არც ინფორმაციის სიჭარბემ. კრიტიკული თეორიული აზროვნების ეს უნარი ეყრდნობა მაღალ ინფორმაციულ მენეჯმენტს, როდესაც შესაძლებელია ინფორმაციის სწრაფად მოპოვება, ანალიზი და სისტემაში მოყვანა; მაგრამ უნარი: ზუსტად განსაზღვრო შენი საკვლევი ობიექტის საინფორმაციო ველი (ანუ შეაგროვო მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც საჭიროა ამ მომენტისთვის და გაემიჯნო ყველა სხვა, ჭარბ ინფორმაციას) არავის თანდაყოლილი თვისება არ არის, ეს უდიდესი სიბრძნეა და აზროვნების ასეთი კულტურა სპეციალურ აღზრდასა და განვითარებას საჭიროებს. ესეც პრობლემაა განათლების სისტემაში.

ახალ ეპოქაში, როგორც წესი, შემოდის ახალი ფასეულობები; ეს არის ღირებულებათა მუდმივი გადაფასების პროცესი და ჩვენი მოვალეობაა გაეუძლოთ ამ დროს რყევებს, არ წაეიქცეთ და შეინარჩუნოთ ნონასწორობა. თავისუფლება გზას უხსნის შემოქმედს და თანდათან მიჰყავს საზოგადოება პროგრესისკენ, მაგრამ თავისუფლება აღვიძებს ადამიანში ეგოიზმის გრძნობასაც და დაბალი პასუხისმგებლობის პირობებში ეს ინვესტირება საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების მომლას და მოდუნებას. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა ქვეყნისთვის.

ამკარაა, რომ ინიციატივის გამოვლენა, მოქმედებების კოორდინაცია და გადაწყვეტილების მიღების უნარი, ანუ ლიდერის თვისებები, განსაზღვრავენ თავისუფალი ინდივიდის ღირებულებას. შემოქმედებითი აზროვნება უბიძგებს ადამიანს ადეკვატური მოქმედებებისკენ, ბადებს მასში ცოდნის ზრდასა და ახალი უნარების გამოუმუშავების სურვილს, უფითარებს სხვისი აზრის მოსმენის კულტურას და ასრავლის ამ აზრების აღიარების აუცილებლობას ყოველთვის, როდესაც ეს საჭიროა. ინდივიდის სრულფასოვნება გამოიხატება მის მუდმივ სწრაფვაში პროგრესისკენ, მის უნარში იგრძნოს მეცნიერული დისკუსიის ძალა. იყოს მიუდევრად ღია ასეთი დისკუსიისთვის და ამავე დროს ყოველთვის განსახვავოს მეცნიერული მიდგომა პოპულისტური ლაყბობისგან.

„ვერ იქნები მშენებელი, თუ არა ხარ მწგრველი“, — წერდა ნიცშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძველი წესრიგის ნგრევა ყოველთვის მოგვიტანს სიკეთეს. ერის ტრადიცია და კულტურა ყალიბდება საუკუნეების მანძილზე და ისტორია გვიჩვენებს, რომ რევოლუციას შეუძლია გამოიწვიოს ქაოსი. უკეთესი და მიზანშეწონილი იქნება, ალბათ, გარდაქმნების ევოლუციური გზა. აღსანიშნავია ისიც, რომ „თავისუფლების“ შეზღუდვაც ყოველთვის არ არის ნეგატიური მოვლენა; მულტიკულტურალიზმი არ უნდა ვაქციოთ საკუთარი კულტურის განადგურების იარაღად და რაღაც საეჭვო „სოციალური ექსპერიმენტების ექსპორტი“ არ უნდა გავხადოთ ქვეყანაში კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზი.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ინდივიდში შემოქმედებითი უნარის განვითარებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სამყაროს არსის ემოციური, მხატვრული ხედვის მაღალი კულტურა, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებაში არსებული ჰარმონიული წესრიგის ზუსტი, რაციონალური ასახვა. ამიტომაც არის, რომ ბევრი გენიალური შემოქმედი აღნიშნავს ფილოსოფიის, ხელოვნების და კონკრეტული მეცნიერების ერთგვარი შინაარსული სინთეზის უნიკალურ როლს შემოქმედებითი პროცესის გააქტიურებაში. დღევანდელმა ეპოქამ კი, საერთოდ, ამკარადა, ფართო ასპექტით წამონია უკვე წინ ინტეგრირებული, გამთლიანებული ცნობიერების ფორმირების საკითხი და დისციპლინათა შორისი კვლევა ცენტრალური პრობლემა გახდა განათლების სისტემაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან, დიმიტრი უზნაძის, ლევან გოკიელის, სავლე წერეთლის, კოტე ბაქრაძის, ზურაბ კაკაბაძის, ვაგან მამასახლისოვის, მათე მირიანაშვილის და სხვათა უნივერსიტეტში, არსებობს ბრწყინვალე ტრადიცია ამ ასპექტში ნაყოფიერი მუშაობისთვის.

სამყარო განიცდობს და შეიმეცნება, ანუ ცხოვრება ითხოვს ადამიანისგან სინამდვილის ასახვის მრავალ ასპექტს და ამის გამო აუცილებელია ყოველთვის სამყაროსთან შემეცნებითი და შეფასებითი მიდგომა. ცხოვრება გვიჩვენებს იმასაც, რომ ბუნება კეთილგანწყობილია მხოლოდ იმის მიმართ, ვინც მიაგნებს მასთან გონებით, ზნეობით და სილამაზის განცდით. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო მრავალმხრივია ადამიანის მიმართება სამყაროსთან, რაც უფრო უნივერსალურია მისი სულიერი კულტურა და რაც უფრო მეტად მოიცავს მისი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა ფილოსოფიის, ხელოვნების და მეცნიერების განვითარების ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებს, მით უფრო მაღალია სოციალური პიროვნების ჩართულობის ხარისხი და მით უფრო ეფექტურადაა შესაძლებელი მისი ინტეგრირება საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროში. ეს ნიშნავს, რომ პიროვნების უნივერსალური განვითარება პირდაპირ კავშირშია ადამიანის შემოქმედებითი უნარის ეფექტურ რეალიზაციასთან. ამიტომაც არის, რომ პიროვნების მრავალმხრივი განვითარების საკითხს და ინტეგრირებულ ცნობიერების ფორმირების პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას ეთმობა დღეს განათლების სისტემაში. უდავოა, რომ ამ საკითხის გადაჭრასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალური პროგრესის პერსპექტივა და საზოგადოების სვლა სრულყოფილად, რასაც, პირველ რიგში, განსაზღვრავს სწორედ თითოეული კონკრეტული ადამიანის სულიერი და გონებრივი განვითარების ხარისხი.

სახელმწიფოს როლზე საზოგადოებისათვის და მოქალაქეებისათვის დანერგულ შეზღუდვებზე (რაც სასტიკად არ მოსწონთ იმ ლიბერალებს, რომლებიც მოითხოვენ პიროვნების სრულ თავისუფლებას, შეზღუდვების გარეშე) ჰეგელი წერდა: „სახელმწიფო ეს არის ღმერთის სვლა სამყაროში, ეს არის ფორმა, რომლითაც რაციონალურად ვითარდება თავისუფლების პრინციპი და სრულყოფილად რეალიზდება ადამიანის სულიერი სამყარო“; მართლაც, კულტურა, პირველ რიგში, არის აკრძალვები, ეს არის პიროვნების უნარი ზუსტად და ობიექტურად განსაზღვროს საკუთარი თავისუფლების ხარისხი, გაარკვიოს კარგად, თუ რისი უფლება აქვს მას ცხოვრებაში და რისი არა. კაცმა არასოდეს უნდა იცხოვროს პაპუასების პრინციპით: კარგია, როდესაც მე ვარბევ სხვას და ცუდია, როდესაც სხვები მიკეთებენ იგივეს.

ის, თუ როგორ იცხოვრებს და როგორ განსაზღვრავს ადამიანი თავის თავისუფლებას, მისი პირადი საქმეა, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს ამ დროს პასუხისმგებლობის გრძნობა. გოეთე ამის შესახებ წერდა: „ყოველი ადამიანი არის ჩრდილი იმ დიდი ჰარმონიისა, რომელიც უნდა შეიმეცნოს როგორც „მთელი“ და ეს ეხება სოციალურ მოვლენებსაც“ და კიდევ: „მხოლოდ მთელი კაცობრიობა ერთად აღებული წარმოადგენს ჭეშმარიტ ადამიანს და ინდივიდი მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს ბედნიერად, როდესაც ექნება ვაჟაკობა იარსებოს ამ მთელში... იზოლირებული ადამიანი ვერ-

ასოდეს მიაღწევს მაღალ მიზნებს“. დღესაც, ისევე როგორც ყოველთვის, ინდივიდის სოციალიზაციის საკითხი სერიოზული პრობლემაა.

სამწუხაროდ, ადამიანებს უჭირთ თავიანთი სურვილების შეზღუდვა, რასაც თან სდევს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ისტორია გვიჩვენებს, რომ ეგოიზმი და შური, როგორც ორი საშიში დემონი, მუდმივად სდევს ადამიანს ცხოვრებაში და ხელს უშლის კაცობრიობის სვლას სრულყოფისკენ. არა და ნორმალური ცხოვრებისათვის სრულიად საკმარისია მარტივი რამ: ყოველი ადამიანი დაკავდეს მხოლოდ იმ საქმით, რისთვისაც არის გაჩენილი ამ ქვეყანაზე, ანუ გააკეთოს ყოველდღიურად მხოლოდ ის, რაც ყველაზე მეტად ეხერხება და არ შეუშალოს სხვასაც ხელი იგივეს კეთებაში. ნათქვამია: სამყარო საკმაოდ დიდა იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ადამიანების მოთხოვნები, მაგრამ ძალიან პატარაა ადამიანის სიხარბის დასაკმაყოფილებლად.

პიროვნების ჰარმონიული განვითარების თემა და ადამიანის მუდმივი სწრაფვა სრულყოფისკენ დღეს უკვე მხოლოდ თეორიული საკითხი აღარ არის, ეს ჩვენი დროის მწვავე პრაქტიკული პრობლემაა. დღეს ადამიანს მუდმივად უხდება სწრაფად ცვლად გარემოსთან ადაპტირება და მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებულ ინდივიდს შეუძლია ამ დროს თავისუფლად ჩაერთოს საზოგადოებრივი პრაქტიკის ნებისმიერ კონკრეტულ სფეროში, ეფექტურად გამოავლინოს იქ თავისი ნიჭი და უნარი და მაქსიმალურად მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. ამიტომაც არის, რომ დრო ითხოვს დღეს პიროვნებისგან სამყაროს ემოციური აღქმის მაღალ კულტურას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში რეკოლუციური გადატრიალებების შედეგად მომხდარი მსოფლმხედველობრივი ცვლილებების მნიშვნელობის გააზრებას და აგრეთვე თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცოდნას.

ამრიგად, ცხოვრებას სჭირდება ადამიანები, რომლებიც მასშტაბურად აზროვნებენ, შეუძლიათ სინამდვილის უნივერსალურ ასპექტში აღქმა და რომლებიც ყოველივე ამას იყენებენ კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. ასეთი კადრები თვისობრივად ახალი კადრებია და მათი აღზრდა დღეს უნდა იყოს სწორედ განათლების სისტემის მთავარი მიზანი.

შემოვიდა ახალი ეპოქა: რთული, განუზღვრელი, წინააღმდეგობრივი და შემთხვევითობებით სავსე. ამ ეპოქაში, როგორც ი. პრიგოჟინი ამბობდა, ცხოვრება ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი. დავეხმაროთ ახალგაზრდებს, რომლებიც დაიბადნენ ამ ეპოქაში და რაღაც უცნაური, ჩვენი თავის გაუგებარი ინტუიციით გრძნობენ ახალი ეპოქის სიახლეს, გაართვან თავი არსებულ სიძნელეს და შეიმუშაონ ახალი დროის მსოფლმხედველობრივი პარადიგმა. გავიხსენოთ ისიც, რომ თავის დროზე ისეთ დიდ მოაზროვნესაც კი, როგორც აინშტაინი, გაუჭირდა ამ სიახლის აღიარება. მან ვერ დაიჯერა, რომ „ღმერთი თამაშობს კამათულს“: „თითქოს მინა გამომეცალა ფეხქვეშ, თითქოს ბროლის კოშკი დამენგრა თავზე“, — ამბობდა იგი. ცნობილია კუბისტმა ბრაკამ თქვა: „ყოველივე ეს მოგვაგონებს მძულარე ნავთის დაღვას“, ჰაიდეგერთან კი ვკითხულობთ: „ის, რისიც ეშინია შიშს, არის ყოფნა ამ სამყაროში“.

დაიწყო ბორის, ჰაინეხერგის, დალის, ვაგნერის ეპოქა და, ბორის თქმით, „ჩვენ ერთდროულად ვართ აქ როგორც მაცხოვრებლები, ასევე მსახიობებიც“. ახალგაზრდები ანგრევენ ძველს, მიდიან წინ და ეს არის პროგრესი. მოვიხადოთ ქუდი წარსულის წინაშე, პატივი ვცეთ წარსულს და მობოლიზებული შევხედოთ მომავალს. იქ, ჩვენს გარეთ, არსებობს მშვენიერი განუზღვრელობა და უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ ველარასოდეს შევძლებთ მოვლენების აღწერას აბსოლუტური სიზუსტით. ვიცხოვროთ ჩვენს დროსთან ერთად და ნუ შეგვემინდება იმის, რომ უკვე ყოველთვის მოგვინებს პარადოქსებით აზროვნება.

გილდა სინარულიძე,
თსუ-ის მონვეული პროფესორი



ქართულ-პოლონური ურთიერთობები და მარიამ ფილინას აღმოჩენილი პოლონეთი

სლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის პროფესორს, პოლონური დიასპორას „პოლონიას“ თავმჯდომარეს მარიამ ფილინას პოლონეთის რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწის ნოდება მიენიჭა. ჯილდოს მინიჭება პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრის პიოტრ გლინსკის გადაწყვეტილებით იყო, საპატიო ორდენი კი ქალბატონ მარიამს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იან ჯეჯიჩაკმა გადასცა. მარიამ ფილინა ასევე დაჯილდოებულია „Bene Merito“-ს ორდენით დამსახურებისთვის პოლონეთის რესპუბლიკის წინაშე. ქართულ-პოლონური ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის მარიამ ფილინა საქართველოს ღირსების ორდენითაც არის დაჯილდოებული 1995 წელს.



ლიერი კავშირი დამყარდა. საქართველოში ჩამოყალიბდა პოლონელ „კავკასიელ პოეტთა“ ჯგუფი, გადმოსახლებულები ჩაერთნენ კავკასიის ცხოვრებაში, უკეთესად გააცნეს პოლონელებს ეს მხარე და ბევრმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი საქართველოს“.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტი ალექსანდრ ხოძკო, რომელმაც თბილისში 2 წელი გაატარა და ქართული ენაც შეისწავლა, 1833 წელს ლონდონში პოლონურ ენაზე გამოსცემს წიგნს, რომელშიც ერთ-ერთი ნარკვევი შოთა რუსთაველს მიეძღვნა. ეს იყო პირველი ნარკვევი პოლონურ ენაზე შოთა რუსთაველის შესახებ. პოლონურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი მოვლენაა „კავკასიელ პოეტთა ჯგუფი“. პოეტები, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, მათი ნაწილი დაახლოებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ეკატერინე დადიანთან, მიხეილ თუმანიშვილთან. „კავკასიელ პოეტთა ჯგუფის“ წევრებმა არა ერთი ნაწარმოები მიუძღვნეს საქართველოს და მის კულტურას. პატრიოტი პოლონელების მსგავსად, ქართველ მამულიშვილთაგან ბევრს, ვინც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას აპროტესტებდნენ, პოლონეთში ასახლებდნენ. ამგვარად აღმოჩნდა ქართველი პოეტი გიორგი ერისთავი 1834 წელს ქალაქ კოვნაში, შემდეგ კი ვილნოში, სადაც უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა, მოგვიანებით გ. ერისთავი სპეციალური ოჯახის დაუახლოვდა, სადაც იმ დროის პოლონური ელიტა იკრებოდა. სწორედ ამ გადასახლების შედეგად ითარგმნა ქართულად ადამ მიცკევიჩი, მოგვიანებით კი გიორგი ერისთავისა და საქართველოში მცხოვრები პოლონელი ლიტერატორის კაზიმეჟ ლაპინსკის თანამშრომლობით პირველად მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი პოლონურ ენაზე.

საქართველოში ემიგრანტი პოლონელების კვალი ლიტერატურის გარდა ინჟინერიაში, მედიცინაში, მხატვრობაში, მუსიკასა და არქიტექტურაშიც გვხვდება. XIX საუკუნის მიწურულიდან საქართველოში პოლონელები საკუთარი ინიციატივით, ან საქმიანი მოწვევითაც ჩამოდიოდნენ და სწორედ ასე აშენდა პოლონელი არქიტექტორების ალექსანდრ შემკევიჩისა და ალექსანდრ როგოცკის მიერ ბევრი ულამაზესი შენობა (უზენაესი სასამართლო, რუსთაველის თეატრი, თი-ბი-სი ბანკის სათაო ოფისი და სხვ.). საქართველოში შემოსულ პოლონელთა ნაწილი უკან დაბრუნდა, ნაწილი აქვე გარდაიცვალა.

მოწინავე ქართველებისა და პოლონელების თანადგომა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში აშკარა იყო: 1893 წელს ვარშავაში დაარსდა და აქტიურად საქმიანობდა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“, რომლის წევრი შოთა არაგვისპირელიც (დედაბრძვილი) იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ პოლონელი ნარმოშობის ქართველ საზოგადო მოღვაწეს ივან პოლტორაკის მიუძღვნა, რომლის ქალიშვილი ნინო პოლტორაკიცაა ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე და ქართული საქმის დიდი გულშემატკივარი იყო.

პოლტორაკების მსგავსად, საქართველოში მცხოვრებ პოლონელთა შთამომავლების ნაწილმა შეითვისა ქართული ზნე-ჩვეულებები, ნაწილმა კი პოლონური გვარი და კათოლიკობა საბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნა, თუმცა მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1995 წელს მოხერხდა ემიგრანტ პოლონელთა შთამომავლების პირველი კავშირის „პოლონიას“ დაფუძნება, რომელსაც სათავეში მარიამ ფილინა ჩაუდგა.

მარია ფილინა: „ჩვენი კავშირის შექმნა ჩემს ოჯახურ ტრადიციას უკავშირდება. ჩემი დედის დედა მარიამ ზავადა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე „დედა მარიას“ ვძახდით, კიევიში დაიბადა. მისი პაპა პოლონეთის 1863 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო გადასახლეს. ბებია კიევის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აგრონომ მელიქ ბახტამიანს გაჰყვა ცოლად და ოჯახი თბილისში დასახლდა. ბაბია ჩავგინერგა პოლონეთის სიყვარული და შემასწავლა პოლონური ენა. როდესაც უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, სადიპლომო ნაშრომად მე-20 საუკუნის პოლონურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები ავირჩიე. მართალია, მაშინ ეს ძალიან რთული იყო, მაგრამ ოჯახის დახმარებით 1974 წელს რამდენიმე დღით პოლონეთში გავმგზავრე. სასტუმროში ყოფნისას საცნობარო წიგნში ცნობილი ლიტერატორებისა და ქართული პოეზიის მთარგმნელების ეუი და მარია ზაჟურსკების ტელეფონი მოვხაზე და ასე აღმოვჩინე მათ ოჯახში. იქიდან მოყოლებული დღემდე ვმუშაობ პოლონურ თემატიკაზე. გამოცემული მაქვს სამეცნიერო ნაშრომები პოლონურ-ქართული ურთიერთობების შესახებ. უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა პერიოდში ჩემი საქმიანობის მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდნენ, მიუხედავად ამისა 120-ზე მეტი ნაშრომი გამოვაქვეყნე, 1991 წელს კი დავიცავი სადოქტორო დისერტაცია და გამოვაქვეყნე მონოგრაფია XIX-XX

საუკუნეებში პოლონურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

90-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც საქართველოში უაღრესი გაჭირვება და კრიზისი იდგა, პოლონეთში მომიხდა გამგზავრება პოლონური პრესის მე-2 მსოფლიო ფორუმზე. სიტყვით გამოსვლისას ამ გასაჭირზე მოვყვი, ვთქვი ისიც, რომ საქართველოში არ შემოდიოდა პოლონური პრესა და ჭირდა კონტაქტები, ასევე, აღვნიშნე, რომ მიუხედავად რამდენიმე ათასიანი ემიგრაციისა, პოლონელებს საქართველოში არასოდეს ქონიათ ეთნიკური პრობლემები და კონფლიქტი. ფორუმში მონაწილე პოლონეთის სენატის, თანამეგობრობა „ვსპულნოტა პოლსკას“, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა იმავე დღეს მირჩიეს გამეერთიანებინა საქართველოში მცხოვრები პოლონელები და დახმარებაც შემომთავაზეს. ასე დაელო სათავე ქართული „პოლონიას“ შექმნას. ჩვენმა ორგანიზაციამ ხელი შეუწყო პოლონური მოძრაობის დაწყებას საქართველოში და სომხეთში, შედეგად — ასეულობით ადამიანმა შეძლო კავშირების აღდგენა ისტორიულ სამშობლოსთან.

ჩვენი ორგანიზაციის თაოსნობით 2000 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ვარშავისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შესახებ, გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „პოლონელების 200 წელი კავკასიაში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და პოლონელი მეცნიერები სხვადასხვა სფეროებიდან. თსუ-ში იკითხება პოლონური ლიტერატურის ისტორიის კურსი, რაც მრავალი ადამიანის შრომის შედეგია. გასულ წელს უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონური კავკასია. ქართულ-პოლონური ურთიერთობები“, რომელიც კავშირ „პოლონიას“ მოღვაწეობის 20 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის ჩატარება თბილისში მდინარე ვერვის ადიდებებს, 14 ივნისს დაემთხვა, ღონისძიებაზე მრავალი საპატიო სტუმარი იყო ჩამოსული, მათ შორის მსოფლიო „პოლონიის“ თავმჯდომარე, ეს ორგანიზაცია აერთიანებს ყველა ემიგრანტ პოლონელს, 15 მილიონ ადამიანს მთელს მსოფლიოში, ექსტრემალური პირობებისა და უამრავი სირთულის მიუხედავად, კონფერენცია მაინც გაიმართა. ამჟამად სწორედ ამ კონფერენციის მასალების გამოცემაზე ვმუშაობთ“.

დაარსების დღიდან დღემდე „პოლონიას“ ორგანიზებით საქართველოში მრავალი სოციალური ხასიათის აქცია, სამეცნიერო და კულტურული ღონისძიება გაიმართა: მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია მიცკევიჩის დღეები, შოპენის მუსიკის ფესტივალი, პოლონელი მხატვრების გამოფენა; ითარგმნა მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები და მათ შორის დიდი პოლონელი რომანტიკოსის იულიუმ სლოვაკის პოეზია. „პოლონიის“ ინიციატივით საქართველოში უკვე რამდენიმე თვეა იმყოფება და პოლონურ ენას ასწავლის პოლონელი სპეციალისტი ბიატა კარასი. ცალკე თემა პოლონურ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობები, რომელმაც თვისობრივად ახალი ხასიათი შეიძინა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და პოლონეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ პარტნიორად და მხარდამჭერად ითვლება საერთაშორისო არენაზე.

ლელა კურდელაშვილი



მზექალა შანიძის ცხოვრების გზა –



„მოდით, საკუთარი გზებით ვიაროთ... მოდით, ყველამ ვისაუბროთ ჩვენს ნაციაზე, ჩვენს ლიტერატურასა თუ ენაზე: ისინი ჩვენია, ისინი თავად ჩვენ ვართ...“

იოჰან გოტფრიდ შერდერი

„მან უგრძელესი ვალია გზები, უძნელეს გზებზე იარა დიდხანს...“
ხალხური კალეველა

მზექალა შანიძის 90 წლის იუბილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, შემთხვევით არ „დაემთხვა“. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრა სრულიად განსხვავებული ფორმატით, დიალოგის რეჟიმში წარმართა. ამ დღეს უნივერსიტეტის უხუცესი ემერიტუს-პროფესორი მზექალა შანიძე უჩვეულოდ გულახდილი იყო.

როგორც ამბობენ, საკუთარი გზის პოვნა და გავლა მხოლოდ რჩეულთა ხედავია. „90 წლის გადმოსახედიდან მზექალა შანიძეს ბევრი გასახსენებელი აქვს, ამიტომაც დავარქვით ჩვენს დღევანდელ შეხვედრას „ცხოვრების გზა“. უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ვიცით, რომ ეს გზა საინტერესო და მრავალფეროვანი იყო — დატვირთული საინტერესო ფაქტებითა და სამეცნიერო მიღწევებით. ისიც კარგად გვახსოვს, რას ნიშნავდა მასთან გამოცდის ჩაბარება — ეს, თითქმის, უნივერსიტეტის დამთავრების ტოლფასი იყო. სამწუხაროდ, დღეს აქ შეკრებილ ახალგაზრდებს ამის საშუალება არ ჰქონიათ, სამაგიეროდ ისინი თავად მოისმენენ ქალბატონი მზექალას აზრს სხვადასხვა საკითხზე და რჩევებსაც მიიღებენ. შეხვედრა ფირზეც აღიბეჭდება, რათა მომავალმა თაობებმაც შეძლონ ამ უნიკალური კადრების ნახვა“, — განაცხადა პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ.

„დღეს ისტორიული დღეა, რადგანაც 1978 წლის 14 აპრილს მთელი საქართველო ქართული ენის დასაცავად იბრძოდა და ამ დიდ ეროვნულ მოძრაობას სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესურა ედგა სათავეში. მათი დამსახურებაა, რომ საქართველომ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი და 14 აპრილი სამუდამოდ შევიდა ჩვენს ისტორიაში, როგორც ქართული ენის დღე. წელს ქართული ენის დღე სიმბოლურად „დაემთხვა“ მზექალა შანიძის იუბილეს და ისიც „აღმოვაჩინეთ“, რომ მას დღემდე არ მიუღია უნივერსიტეტის მთავარი ჯილდო — ივანე ჯავახიშვილის მედალი, რაც „კურორზად“ შეგვიძლია ჩავთვალოთ და შეცდომა გამოვასწოროთ. ეს ჯილდო მან დიდი ხნის წინ დაიმსახურა უნივერსიტეტის მიმართ ერთგულებითა და სამეცნიერო მოღვაწეობით“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.



ბანსაკუთრებული ჯილდო

დაგვიანებული ჯილდო 90 წლის იუბილარმა მისთვის ჩვეული მოკრძალებით მიიღო და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა. მზექალა შანიძემ 1978 წლის 14 აპრილიც გაიხსენა: „ივანე ჯავახიშვილის მედალი უდიდესი ჯილდოა ყველასთვის, ვინც უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, რადგან ივანე ჯავახიშვილი გახლდათ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი, არამედ დიდი ეროვნული საქმის ფუძემდებელიც, ვგულისხმობ იმ საქმეს, რომელმაც მთელი საქართველოს მომავალი განსაზღვრა. მოხარული ვარ, რომ დღეს, აქ, უფროს თაობასთან ერთად, ახალგაზრდებსაც ვხედავ, ეს მაძლევს იმედს, რომ ჩვენი მომავალი თაობა იცნობს იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს ქართულ ენას აქვს და მზად არის თავისი მომავალი მოღვაწეობა ამ საქმეს დაუკავშიროს. სიმბოლურად მიმაჩნია ის ფაქტიც, რომ სწორედ დღეს, ქართული ენის დღეს, ვსაუბრობთ ამ თემაზე. 1978 წლის 14 აპრილი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია. საუკუნეთა განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო მრავალი დამწყობელი გვეხვია და, წმინდა ლინგვისტურად, ქართულ ენაში ბევრი უცხო სიტყვა შემოვიდა, ქართველი თავის ენას ყოველთ-

ვის უფრთხილდებოდა. ქართული ენის დასაცავად ხალხი გარეთ გამოვიდა. მაშინ ეს ადვილი არ იყო, ქუჩაში ტანკები გამოჩნდნენ, ერმა ეს შეურაცხყოფად აღიქვა და მიაღწია იმას, რომ ცენტრალურ მთავრობას კონსტიტუციის ეს მუხლი „გამოგლიჯა“. დღეს ჩვენ ამ ფაქტს მაღლივრებით ვიხსენებთ. მართალია, ქართულ ენას კვლავ ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თანამედროვე თაობა ისეთივე შემართებით შეხედება დღევანდელ გამოწვევებს, როგორც მაშინ, 14 აპრილს.“

სტუდენტებმა მზექალა შანიძეს თანამედროვე ქართული ენის პრობლემებზე დაუსვეს შეკითხვები და დაინტერესდნენ, რა სირთულეების წინაშეა დღეს ქართველოლოგიური ენათმეცნიერება.

„დღეს მსოფლიოში ნათლად იკვეთება, რომ საფრთხე ემუქრება ისეთ ენებსაც კი, როგორც არის ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური და სხვა. მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ მაღალი ტექნოლოგიების და გლობალიზაციის ეპოქაში უკვე ოფიციალურად თუ არაოფიციალურად

ხდება ენების შევიწროება ერთი ენის — ინგლისურის მიერ. დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ექსპანსიამ გამოიწვია ინგლისური ენის გავრცელება და არნახული ძალდატანება სხვა ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურისა და სხვა ენების ცოდნა აუცილებელი და სასარგებლოა ყველასთვის, ვინც ჩვენს დარგში მუშაობს, ქართული ენა არ უნდა დავივიწყოთ, რადგან, ერთი ენის შესწავლა მეცნიერული თვალსაზრისით, მეორეა — ის რეალური საფრთხე, რომელსაც ერთი ენა უქმნის მეორეს. დღეს ეს პრობლემები საერთოა მრავალი ენისთვის. მსოფლიოში ბევრი ენაა. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ენების უმრავლესობა უკვე გადაშენდა. ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია ჩრდილოეთ კავკასიის ენები დავასახელოთ. არ უნდა დავავიწყდეს, რომ თითოეული ენა ძალიან ძვირფასი და უნიკალურია. ჩვენ დიდი ხნის წერილობითი ისტორია გვაქვს, სწორედ ეს არის ერთ-ერთი საწინდარი იმისა, რომ ქართული ენა განაგრძობს არსებობას და გავაძლევს იმედს, რომ მას გადაშენება არ ემუქრება. ჩვენი

მიზანია, რომ ქართული ენა ისე განვითარდეს, რომ მან შევიწროების საფრთხე თავიდან აიცილოს.“

სტუდენტებმა მეცნიერს შეკითხეს, რა როლი ითამაშა მამამ, აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ მისი, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის, ჩამოყალიბებაში, რაზეც მზექალა შანიძემ უპასუხა: „მამა ჩემს არჩევანში მაინცდამაინც არ ერეოდა. იგი თვლიდა, რომ 13-14 წლის ადამიანმა უკვე თავად უნდა იცოდეს — რა უნდაო, თუმცა, გარემოსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი თაობის მთავარი გასართობი ნიგნები იყო. ახლაც მახსოვს მარი ბროსეს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ დიდი, ყვითელფიანი ნიგნი, დიდხანს რომ ვერ ვხედავდი თაროდან მის გადმოღებას. ვკითხულობდით ბევრს, როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან ლიტერატურას. რაც შეეხება ჩემს არჩევანს, ის თავიდანვე ერთადერთი არ ყოფილა — ბიოლოგიაც მაინტერესებდა და იურისპრუდენციაც, თუმცა, ბოლოს, არჩევანი ქართულ ფილოლოგიაზე შევაჩერე, შემდეგ კი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავრეგულივ სწავლა. მამას გავლენით ძირითადად ხელი მემლებოდა, ვინაიდან ჩემგან ყველა უფრო მეტს მოითხოვდა. მეც ყოველთვის ვფრთხილობდი, რომ მამაჩემის შვილობით რაიმე უპირატესობა არ მქონოდა. ასპირანტურა რომ დავამთავრე, უსამსახუროდ ვიყავი, მამაჩემმა მითხრა, არც იფიქრო, რომ შენი გულისთვის ვინმეს შეგანუხებო. შემდეგ ილია აბულაძემ შემომთავაზა ადგილი ხელნაწერთა განყოფილებაში და იქ დავინწყე მუშაობა.“

სტუდენტები დაინტერესდნენ, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის დროს, რაზეც მზექალა შანიძემ უპასუხა: „ჩემთვის ყველაფერი ახალი მნიშვნელოვანია. 1956 წელს ხელნაწერთა განყოფილებაში აღმოვჩნდი, სადაც მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. განსაკუთრებით დავინტერესდები ხელნაწერებით, რომლებიც ყოველთვის „ახალია“ და უნიკალური. 3-ჯერ ვიყავი სინას მთაზე, სადაც ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების შესწავლა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო, როდესაც ერთ პატარა გრამატიკულ ტრატატს მივაკვლიე. ეს ტრატატები შენიშვნის სახით არის დაწერილი, მაგრამ რეალურად დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს

წარმოადგენს. თქვენც გისურვებთ, ყოველთვის გქონდეთ ახლის ძიების სურვილი და ინტერესი.“

მზექალა შანიძემ კიდევ მრავალ საკითხზე და პრობლემებზე ესაუბრა სტუდენტებს და მათ სწორად მეტყველებისკენ მოუწოდებდა: „ენობრივი ცენზურა აუცილებელია. კარგი ქართული უნდა იწერებოდეს როგორც ქართული, ისე სხვა დარგის სახელმძღვანელოებიც. ახალგაზრდები თვალყურს უნდა ადევნებდეთ საკუთარ მეტყველებას. უარყავით ის ენობრივი შტამები, რომელიც ყოველდღიურად გესმით ტელევიზიიდან, წაღით სოფლებში, ჩაინერეთ სიტყვები, იკითხეთ საუკეთესო მწერლების ნაწარმოებები და თქვენ თვითონ ისწავლეთ კარგი ქართული. დღევანდელი ქართული ენა (არ მუშინია ამ სიტყვის ხმარების) ნაბილწულია არასწორი ფორმებით, უხეში და უცენზურო გამოთქმებით... თითოეულმა გააკეთეთ, რაც შეგიძლიათ და, როგორც დათა თუთაშხია იტყოდა — „თქვენი წილი ბოროტება მოსპვით“.

უფროსი თაობის კოლეგებმა, მზექალა შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, მისი კულინარიული „ოსტატობაც“ გაიხსენეს და აღნიშნეს, რომ დიდი მეცნიერი წარმატებით უძღვებოდა საოჯახო საქმეებს, რაზეც ქალბატონმა მზექალამ დიმილით უპასუხა: „ჩემი ახალგაზრდობის დროს ქალებს ბევრი შრომა გვიხდებოდა ოჯახში, ამიტომ მეც ვაკეთებდი იმას, რასაც ყველა ქალი ვამზადებდა საჭმელს, დავდიობი ბაზარში, ვრეცხავდი. რაც შეეხება საჭმლის გემრიელად მომზადების საიდუმლოს, ეს საიდუმლო გახლავთ ის, რომ ყველაფრის კარგად აკეთება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხარისხიანად აკეთებ. მურაბა მაშინ იქნება კარგი და არ ამჟავდება, თუ შეაქარს არ დააკლებ — ხარისხი ყველაფერში მნიშვნელოვანია.“

სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის შემდეგ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ორგანიზებით მეცნიერის იუბილესთან დაკავშირებით სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

სურათები ბაროქული

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, თორე ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე,	ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	მანანა შამილიშვილი, თემურ	(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ანა ბოლქვაძე	ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი	tsunewsaper@tsu.ge
კომპ. უზარუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	ჯაიანი, არსენ გვერუტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ჭალაგანიძე, ირმა რუხაძე	2 22 36 62